

საქართველოს კანონი

სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო

1. ეს კანონი განსაზღვრავს:

ა) სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებებს, ფიზიკური პირების (შემდგომ – მოსახლეობა) და იურიდიული პირების უფლებებსა და მოვალეობებს;

ბ) მშვიდობიანობის და საომარი მოქმედებების დროს წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემის (შემდგომ – ერთიანი სისტემა) შექმნისა და საქმიანობის წესს, ამ სისტემის სუბიექტების უფლებებსა და მოვალეობებს.

2. ეს კანონი საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში გამოიყენება „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ხოლო საომარი მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში – „საომარი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 2. კანონის მიზანი

ამ კანონის მიზანია:

ა) საქართველოში სამოქალაქო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამართლებრივი რეგულირება;

ბ) საგანგებო სიტუაციის დროს მოსახლეობის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ქონების, აგრეთვე სახელმწიფო, მუნიციპალიტეტის, ფიზიკური და იურიდიული პირების ქონების და გარემოს დაცვა;

გ) ერთიანი სისტემის სუბიექტებს შორის ურთიერთობის რეგულირება, აგრეთვე მათი უფლებების, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის განსაზღვრა;

დ) ერთიანი სისტემის შექმნის უზრუნველყოფა და მისი საქმიანობის ორგანიზება, მათ შორის, სახანძრო-სამაშველო დანაყოფების შექმნა და მათი საქმიანობის ორგანიზება;

ე) ხანძრის პროფილაქტიკის, ჩაქრობის და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ორგანიზებისა და ჩატარების პროცედურების განსაზღვრა, საგანგებო სიტუაციის პრევენციის, მასზე რეაგირების, მისი შედეგების მიტიგაციისა და ლიკვიდაციის უზრუნველყოფა.

მუხლი 3. კანონის ზოგადი პრინციპები და ამოცანები

ეს კანონი ეფუძნება შემდეგ ზოგად პრინციპებსა და ამოცანებს:

ა) საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სამოქალაქო უსაფრთხოების უზრუნველყოფას სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, მოსახლეობისა და ორგანიზაციების მონაწილეობით, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობისა და დარგობრივი დაქვემდებარების შესაბამისად;

ბ) სახელმწიფოს მიერ დაწესებული სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებისა და საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების მხოლოდ კანონის რეგულირების სფეროზე გავრცელებას;

გ) სახელმწიფოს მიერ მოსახლეობის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ქონების დაცვის კონსტიტუციური უფლებების უზრუნველყოფას;

დ) სამოქალაქო უსაფრთხოების ამოცანების გადასაწყვეტად კომპლექსურ მიდგომას;

ე) მოსახლეობის სიცოცხლის გადარჩენისა და მისი ჯანმრთელობის შენარჩუნებისაკენ მიმართული ამოცანებისათვის პრიორიტეტის მინიჭებას;

ვ) საგანგებო სიტუაციების რისკის ეკონომიკურად დასაბუთებული შემცირების მაქსიმალურ შესაძლებლობას;

ზ) საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისა და მათი შედეგების ლიკვიდაციის დროს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალების მართვის ცენტრალიზებას, ერთმმართველობას, დისციპლინური წესდების დაცვის აუცილებლობას, ხელმძღვანელი თანამდებობის პირების მითითებებისა და განკარგულებების მათი ხელქვეითების მიერ შესრულების სავალდებულობას;

თ) საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალების მზადყოფნას ხანძრის პროფილაქტიკისათვის, საგანგებო სიტუაციების პრევენციისათვის, ხანძრის ჩაქრობისათვის, საავარიო-სამაშველო სამუშაოებში, საგანგებო სიტუაციის ზონებში აღდგენით სამუშაოებში და ადამიანთა ძეგლის სამუშაოებში მონაწილეობისათვის და დაზარალებულთათვის პირველადი დახმარების აღმოჩენისათვის;

ი) ხანძრის ჩაქრობის და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარების დროს გონივრულ რისკს და სახანძრო-სამაშველო დანაყოფების ხელმძღვანელების პასუხისმგებლობას ამ დანაყოფების პირადი შემადგენლობების უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის;

კ) სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში იმ ინფორმაციის საჯაროობას, გამჭვირვალობას, თავისუფალ ხელმისაწვდომობასა და გავრცელებას, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული არ არის;

ლ) მოსახლეობის ნებაყოფლობით ჩართვას საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ღონისძიებებში;

მ) საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების დროს დაშავებულებისადმი ჰუმანურ მოპყრობას, მათი ღირსებისა და რელიგიური მრწამსის პატივისცემას;

ნ) სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, მოსახლეობისა და იურიდიული პირების უფლებამოსილებების განსაზღვრას;

ო) მშვიდობიანობის და საომარი მოქმედებების დროს წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონების და გარემოს დაცვას საგანგებო სიტუაციების პრევენციით და მათზე რეაგირების ორგანიზებით;

პ) მოსახლეობის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ქონების, აგრეთვე სახელმწიფო, მუნიციპალიტეტისა და იურიდიული პირების ქონების ხანძრისაგან დაცვას ხანძრის პროფილაქტიკის, ჩაქრობის და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ორგანიზებით.

მუხლი 4. კანონის სამართლებრივი საფუძვლები

საქართველოში სამოქალაქო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამართლებრივი საფუძვლებია: საქართველოს კონსტიტუცია, სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მოქმედი საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები, ეს კანონი და საქართველოს სხვა სამართლებრივი აქტები.

მუხლი 5. ამ კანონის მიზნებისათვის მასში გამოყენებული ტერმინების განმარტება

1. სამოქალაქო უსაფრთხოება – დაცვითი და უსაფრთხოების ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც მოიცავს:

ა) საგანგებო სიტუაციის პრევენციას და საგანგებო სიტუაციის შედეგების მიტიგაციას;

ბ) სახანძრო უსაფრთხოებას, მათ შორის, ხანძრის პროფილაქტიკის ორგანიზებას, მის ჩაქრობას და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარებას;

გ) საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალების მზადყოფნას მშვიდობიანობის და საომარი მოქმედებების დროს წარმოქმნილი ან მოსალოდნელი საგანგებო სიტუაციისათვის, მასზე რეაგირებასა და მოსახლეობის დაცვას;

დ) სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისთვის მიკუთვნებული ობიექტის უსაფრთხო და სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფას.

2. საგანგებო სიტუაცია – ცალკეულ ტერიტორიებზე ან ორგანიზაციებში ისეთი კრიზისული ვითარება, რომელიც ხასიათდება მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების ნორმალური პირობების დარღვევით, გამოწვეულია კატასტროფით, მასშტაბური სამრეწველო ავარიით, ხანძრით, სტიქიური უბედურებით, ეპიდემიით, ეპიზოოტიით, ეპიფიტოტიით ან საბრძოლო საშუალებების გამოყენებით და რომელიც საფრთხეს უქმნის ან/და შეიძლება საფრთხე შეუქმნას მოსახლეობის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, იწვევს ან შეიძლება გამოიწვიოს მსხვერპლი, ადამიანთა დაშავება ან/და მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

3. მასშტაბური სამრეწველო ავარია – აფეთქება, ხანძარი ან საშიში ნივთიერების (ნივთიერებების) მასშტაბური გაჟონვა, რომელიც გამოწვეულია პოტენციურად საშიშ ობიექტზე ტექნოლოგიური (საწარმოო) პროცესების უკონტროლო განვითარებით და რომელიც უეცარ, სერიოზულ საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან/და გარემოს როგორც პოტენციურად საშიში ობიექტის შიგნით, ისე მის გარეთ.

4. ინციდენტი – ბუნებრივი, ტექნოგენური, ეკოლოგიური ან სოციალური მოვლენა, რომელიც საფრთხეს უქმნის მოსახლეობის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, სოციალურ მდგომარეობას, ქონებას ან/და გარემოს.
5. საგანგებო სიტუაციის ზონა – განსაზღვრული ტერიტორია ან აკვატორია, სადაც წარმოიქმნა საგანგებო სიტუაცია.
6. საგანგებო სიტუაციის რისკი – საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის შესაძლებლობა, რომელიც განისაზღვრება საფრთხის წინაშე მდგარი ადამიანის სიცოცხლეზე, ჯანმრთელობასა და ქონებაზე, აგრეთვე გარემოზე უარყოფითი ზემოქმედებითა და შედეგებით.
7. საგანგებო სიტუაციის რისკის შეფასება – პოტენციური საფრთხის ანალიზისა და არსებული მოწყვლადობის შეფასებით მოსალოდნელი საგანგებო სიტუაციის ხასიათისა და მასშტაბის, საფრთხის წინაშე მდგარი ადამიანის სიცოცხლეზე, ჯანმრთელობასა და ქონებაზე, აგრეთვე გარემოზე უარყოფითი ზემოქმედებისა და შედეგების მაჩვენებლების განსაზღვრის პროცესი.
8. სპეციალურად უფლებამოსილი ორგანო – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო (შემდგომ – სააგენტო), რომელიც უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციის პრევენციის, ერთიანი სისტემის მზადყოფნის, საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებისა და საგანგებო სიტუაციის ზონაში აღდგენითი სამუშაოების ორგანიზებას და სამოქალაქო უსაფრთხოების ამოცანების გადასაწყვეტად სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის განხორციელებას.
9. ერთიანი სისტემის მზადყოფნა – საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის საფრთხის ან/და წარმოქმნის შემთხვევაში ერთიანი სისტემის სუბიექტებისა და მოსახლეობის სწრაფი და სათანადო რეაგირების შესაძლებლობა, რომელიც მიიღწევა სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ერთიანი სისტემის სუბიექტებისა და მოსახლეობის მომზადების უწყვეტი პროცესის უზრუნველყოფითა და კომპლექსური კონტროლით.
10. სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმა (შემდგომ – ეროვნული გეგმა) – ერთიანი სისტემის ძირითადი სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელიც სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში აწესრიგებს ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობას და ეფუძნება საგანგებო მართვის გეგმებს და საგანგებო სიტუაციის რისკის მართვის გეგმებს.
11. საგანგებო მართვის გეგმა – წინასწარი დაგეგმვის დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს მშვიდობიანობის და საომარი მოქმედებების დროს წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციების ძირითადი ფაზების (საგანგებო სიტუაციის პრევენცია, საგანგებო სიტუაციისთვის მზადყოფნა, საგანგებო სიტუაციაზე რეაგირება და საგანგებო სიტუაციის ზონაში აღდგენითი სამუშაოების ჩატარება) დროს ერთიანი სისტემის სუბიექტების უფლებების განხორციელებისა და მოვალეობების შესრულების უზრუნველყოფას, მატერიალური რესურსებისა და ადამიანური რესურსების შექმნასა და მართვას.
12. საგანგებო სიტუაციის რისკის მართვის გეგმა (შემდგომ – რისკის მართვის გეგმა) – ერთიანი სისტემის სუბიექტების მიერ შემუშავებული წინასწარი დაგეგმვის დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია საგანგებო სიტუაციის რისკის გამოვლენის, შეფასებისა და შემცირების მიზნები, სპეციფიკური ამოცანები, ამ ამოცანების გადასაწყვეტად საჭირო მართვის ღონისძიებები და ის აუცილებელი მოქმედებები, რომლებიც მიმართულია

პოტენციური ზიანისა და დანაკარგის მინიმუმამდე შემცირებისაკენ, აგრეთვე ახალი რისკის წარმოქმნის თავიდან აცილებისაკენ.

13. საგანგებო სიტუაციების შედეგების მიტიგაცია (შემდგომ – მიტიგაცია) – საფრთხეების ან მათთან დაკავშირებული საგანგებო სიტუაციების, აგრეთვე საომარი მოქმედებების უარყოფითი ზემოქმედების შემცირება, შერბილება ან შეზღუდვა.

14. საგანგებო სიტუაციებზე რეაგირება და მათი შედეგების ლიკვიდაცია (შემდგომ – საგანგებო სიტუაციებზე რეაგირება) – საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალების მიერ ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის, მისი ჯანმრთელობის შენარჩუნების, მატერიალური ზიანისა და გარემოს დაზიანების შემცირების, აგრეთვე საგანგებო სიტუაციის ზონის ლოკალიზების მიზნით ამ ზონაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ხანძრის ჩაქრობა, ვითარების შესწავლა-შეფასება, საავარიო-სამაშველო სამუშაოებისა და სხვა გადაუდებელი სამუშაოების ჩატარება.

15. საგანგებო სიტუაციის ზონაში აღდგენითი სამუშაოები (შემდგომ – აღდგენითი სამუშაოები) – პირველი რიგის, გადაუდებელი ღონისძიებების კომპლექსი, რომელსაც საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალები ახორციელებენ საგანგებო სიტუაციის ზონაში სასიცოცხლო პროცესებისა და სოციალური ყოფის აღდგენის, გადარჩენილი მოსახლეობის, თავად ამ ძალების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის და მათი საქმიანობის ყოველმხრივ უზრუნველყოფის მიზნით.

16. საავარიო-სამაშველო სამუშაოები – მოქმედებები, რომლებიც მიმართულია ადამიანის სიცოცხლისა და ქონების გადარჩენისაკენ, აგრეთვე ავარიის, კატასტროფისა და საგანგებო სიტუაციისათვის დამახასიათებელი საშიში ფაქტორების შედეგების მინიმუმამდე შემცირებისაკენ.

17. ადამიანთა ძეგნის სამუშაოები – მოქმედებები, რომელთა მიზანია ინციდენტის ან საგანგებო სიტუაციის შედეგად დაზარალებული და დაკარგული ადამიანების მოძებნა.

18. სამაშველო სამუშაოები – მოქმედებები, რომლებიც ხორციელდება ინციდენტის ან საგანგებო სიტუაციის დროს ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ქონების გადასარჩენად.

19. სხვა გადაუდებელი სამუშაოები – სასწრაფო-სამედიცინო და სხვა გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა, სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური ღონისძიებების განხორციელება, ტერიტორიის სანიტარიული გაწმენდა და დეკონტამინაცია, საგანგებო სიტუაციის ზონაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა.

20. ორგანიზაცია – საგანმანათლებლო, სააღმზრდელო ან სამედიცინო დაწესებულება, სამრეწველო საწარმო, სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტი, სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მომუშავე სხვა ორგანიზაცია, რომლის მიზანია თავისი უფლებამოსილების ფარგლებში საგანგებო სიტუაციის პრევენცია, მასზე რეაგირება და აღდგენითი სამუშაოების ჩატარება.

21. ობიექტი – ფიზიკური ან იურიდიული პირის ქონება, სახელმწიფო ან მუნიციპალური ქონება (მათ შორის, ტერიტორია, შენობა-ნაგებობა, სატრანსპორტო საშუალება, ტექნოლოგიური დანადგარი, აგრეგატი, მოწყობილობა, ნაკეთობა, სხვა ქონება), რომლისთვისაც დადგენილია ან უნდა დადგინდეს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები და საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნები.

22. საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალები (შემდგომ – რეაგირების ძალები) – საგანგებო სიტუაციისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის სფეროში საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებისა და აღდგენითი სამუშაოების ჩატარების მიზნით შექმნილი სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკების, სამხარეო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და ორგანიზაციების ძალები (მათ შორის, მათი მართვის ორგანოები), აგრეთვე სამოქალაქო უსაფრთხოების რეზერვისტები.

23. სამაშველო დანაყოფი – რეაგირების ძალების ერთეული, რომელიც დადგენილი წესით შექმნილია შესაბამის ტერიტორიაზე ან ორგანიზაციაში ადამიანთა ძებნის სამუშაოების და სხვა სამაშველო სამუშაოების ჩასატარებლად.

24. სახანძრო-სამაშველო დანაყოფი – სააგენტოს დანაყოფი, რომელიც შექმნილია ხანძრის პროფილაქტიკის, ჩაქრობის და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარების, საგანგებო სიტუაციის პრევენციის და მასზე რეაგირების მიზნით, აგრეთვე მუნიციპალური, საუწყებო, კერძო ან ნებაყოფლობითი სახანძრო ან/და სამაშველო დაცვის დანაყოფი, რომელიც დადგენილი წესით შექმნილია ხანძრის პროფილაქტიკისათვის, ჩაქრობისათვის და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარებისათვის.

24¹. მხანძრე-მაშველი – პირი, რომელიც უშუალოდ ახორციელებს ხანძრის პროფილაქტიკას და აქრობს ხანძარს, ატარებს საავარიო-სამაშველო სამუშაოებს, მართავს და ორგანიზებას უწევს ამ ღონისძიებებს, აქვს შესაბამისი სპეციალური, ფიზიკური და ფსიქოლოგიური მომზადება, თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

24². მაშველი – პირი, რომელიც უშუალოდ ატარებს სამაშველო სამუშაოებს, ახორციელებს საგანგებო სიტუაციის პრევენციას და მასზე რეაგირებას, მართავს და ორგანიზებას უწევს ამ ღონისძიებებს, აქვს შესაბამისი სპეციალური, ფიზიკური და ფსიქოლოგიური მომზადება, თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

25. სამოქალაქო უსაფრთხოების რეზერვისტები – საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებისათვის „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მობილიზებული რეზერვისტები.

26. საგანგებო სიტუაციების შესახებ მოსახლეობისთვის შეტყობინება – საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მართვის ორგანოების მიერ სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, ორგანიზაციებისა და მოსახლეობისათვის საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის საფრთხის ან/და წარმოქმნის შესახებ შეტყობინების სიგნალების გადაცემა და გადაუდებელი ინფორმაციის მიწოდება.

27. თავშესაფარი – შენობა ან ნაგებობა, რომელიც საგანგებო სიტუაციის ან საომარი მოქმედებების დროს, გარკვეულ პერიოდში შეიძლება გამოყენებულ იქნეს მოსახლეობის სხვადასხვა დამაზიანებელი ფაქტორებისაგან დასაცავად. თავშესაფარი შეიძლება იყოს ორმაგი დანიშნულების, სამოქალაქო ან სამრეწველო შენობა ან/და სპეციალური ჰერმეტიკული დამცავი ნაგებობა, რომელიც დაპროექტებულია დამაზიანებელი ფაქტორების გათვალისწინებით.

28. მასპინძელი ქვეყნის მხარდაჭერა – საერთაშორისო დახმარების მიღებისა და გამოყენების დროს შესაძლო გართულებების თავიდან ასაცილებლად მასპინძელი ქვეყნის მიერ პროცედურების განხორციელება.

29. საავარიო-სამაშველო საშუალებები – საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარებისთვის განკუთვნილი ტექნიკური, სამეცნიერო-ტექნიკური ან ინტელექტუალური

პროდუქტი, მათ შორის, სპეციალური მართვისა და კავშირის საშუალებები, ტექნიკა, აღჭურვილობა, მოწყობილობა და სხვადასხვა ფასეულობა, მეთოდური მასალები და ვიდეო-, კინო-, ფოტომასალები საავარიო-სამაშველო სამუშაოების ტექნოლოგიების შესახებ, კომპიუტერული პროგრამები და მონაცემთა ბაზები.

30. მატერიალური რესურსები – საავარიო-სამაშველო საშუალებები, მოძრავი და უძრავი ქონება, სამშენებლო მასალა, აღჭურვილობა და სხვა რესურსები, რომლებიც გამოიყენება საგანგებო სიტუაციის პრევენციისა და ერთიანი სისტემის მზადყოფნისათვის, აგრეთვე საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებისათვის.

31. სავალდებულო ოპერაციების შესრულება – საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად, საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების დროს ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ რეაგირების ძალების მხარდასაჭერი სამუშაოების სავალდებულო შესრულება ან საკუთარ მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსების რეაგირების ძალებისათვის გადაცემა, აგრეთვე უკიდურესი აუცილებლობის ან/და გონივრული რისკის ფარგლებში განხორციელებული პირადი უფლებების შემზღვეველი ქმედებები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ექვემდებარება ფინანსურ და მატერიალურ კომპენსაციას აღდგენითი სამუშაოების ჩატარებისას ან შემდგომ.

32. საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნები – საგანგებო სიტუაციების პრევენციის და მათზე რეაგირების მიზნით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი, სოციალური ან/და ტექნიკური ხასიათის სპეციალური პირობები.

33. სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტი – წყალმომარაგების, კანალიზაციის, გამდინარე წყლების გამწმენდი, თბომომარაგების ან ენერგეტიკული ობიექტი, ჰიდროტექნიკური ნაგებობა, სხვა ობიექტი, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს სტრატეგიული ინტერესებისათვის.

34. აფეთქებახანძარსაშიში შენობა-ნაგებობები და სათავსები (შემდგომ – აფეთქებახანძარსაშიში ობიექტი) – სახანძრო უსაფრთხოების სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტებით განსაზღვრული, მომეტებული აფეთქებახანძარსაშიში და აფეთქებახანძარსაშიში კატეგორიების საწარმოო და სასაწყობო შენობა-ნაგებობები და სათავსები, მიუხედავად მათი ფუნქციური დანიშნულებისა, რომელთა საწარმოო ტექნოლოგიური პროცესი ხასიათდება აფეთქებისა და ხანძრის განვითარების ან ხანძრის გაჩენის და შემდგომი აფეთქების შესაძლებლობით.

35. ხანძარსაშიში შენობა-ნაგებობები და სათავსები (შემდგომ – ხანძარსაშიში ობიექტი) – სახანძრო უსაფრთხოების სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტებით განსაზღვრული, ხანძარსაშიში კატეგორიის საწარმოო და სასაწყობო შენობა-ნაგებობები და სათავსები, მიუხედავად მათი ფუნქციური დანიშნულებისა, რომელთა საწარმოო ტექნოლოგიური პროცესი ხასიათდება ხანძრის გაჩენისა და განვითარების, აგრეთვე ადამიანსა და მატერიალურ ფასეულობებზე ხანძრის საშიში ფაქტორების ზემოქმედების შესაძლებლობით.

36. პოტენციურად საშიში ობიექტი – სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისა და სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისთვის მიკუთვნებული ობიექტი, რომლის საწარმოო ტექნოლოგიური პროცესი მოიცავს რადიოაქტიური, ხანძარსაშიში, აფეთქებახანძარსაშიში, საშიში ქიმიური და ბიოლოგიური ნივთიერებების გამოყენებას, დამზადებას, გადამუშავებას, შენახვას ან ტრანსპორტირებას, რომელშიც ავარიამ ან

საწარმოო ტექნოლოგიური პროცესის არასწორმა წარმართვამ შეიძლება გამოიწვიოს საგანგებო სიტუაცია (მათ შორის, ხანძრის, ნგრევის, აფეთქების, ემისიის ან ინტოქსიკაციის საფრთხე) და რომელიც მომეტებულ რისკს შეიცავს ადამიანის სიცოცხლისათვის, ჯანმრთელობის, ქონებისა და გარემოსათვის.

37. სახანძრო უსაფრთხოება – ფიზიკური პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ქონების, აგრეთვე სახელმწიფო, მუნიციპალიტეტისა და იურიდიული პირების ქონების ხანძრისაგან დაცვა.

38. სახანძრო დაცვა – დადგენილი წესით შექმნილი სახანძრო უსაფრთხოების სუბიექტების ერთობლიობა, რომლის დანიშნულებაცაა ხანძრის პროფილაქტიკის ორგანიზება, მისი ჩაქრობა და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარება.

39. ხანძრის პროფილაქტიკა – ხანძრის გაჩენის შესაძლებლობის თავიდან აცილებისა და მისი შედეგების შემცირებისაკენ მიმართული პრევენციული ზომების ერთობლიობა.

40. სახანძრო უსაფრთხოების ზომები – სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად (მათ შორის, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესასრულებლად) განხორციელებული მოქმედებები.

41. ხანძარი – უკონტროლო წვის პროცესი, რომელიც იწვევს მატერიალურ ზიანს, საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ზიანს აყენებს საზოგადოებრივ და სახელმწიფო ინტერესებს.

42. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები – სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი, სოციალური ან/და ტექნიკური ხასიათის სპეციალური პირობები.

43. ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმი – სახანძრო უსაფრთხოების ცალკეული მოთხოვნები, რომლებიც სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ადგენს ადამიანის ქცევის, წარმოების ორგანიზების ან/და ორგანიზაციის, ობიექტის ტერიტორიის, შენობის, ნაგებობისა და სათავსის მოვლა-პატრონობის წესებს.

44. სახანძრო-ტექნიკური პროდუქტი – სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის განკუთვნილი სპეციალური ტექნიკური, სამეცნიერო-ტექნიკური ან ინტელექტუალური პროდუქტი, მათ შორის, სახანძრო ტექნიკა, აღჭურვილობა, მოწყობილობა, ცეცხლსაქრობი და ცეცხლდამცავი ნივთიერებები, სპეციალური მართვისა და კავშირის საშუალებები, კომპიუტერული პროგრამები და მონაცემთა ბაზები, აგრეთვე ხანძრის თავიდან აცილებისა და ჩაქრობის სხვა საშუალებები.

45. სახანძრო უსაფრთხოების სფეროში შესაბამისობის დადგენა (შემდგომ – შესაბამისობის დადგენა) – სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან ობიექტის ან/და სამშენებლო დოკუმენტის შესაბამისობის დადასტურება.

46. ხანძრის ლოკალიზაცია – მოქმედებები, რომლებიც მიმართულია არსებული ძალებითა და საშუალებებით წვის შემდგომი გავრცელების შესაძლებლობის თავიდან აცილებისაკენ და მისი ლიკვიდაციისათვის პირობების შექმნისაკენ.

47. საუწყებო სახანძრო ზედამხედველობა – საუწყებო სახანძრო დაცვის საქმიანობა, რომელიც მიმართულია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების შესაბამის ობიექტებში სახანძრო უსაფრთხოების

მოთხოვნების შესრულების შემოწმებისაკენ და, შემოწმების შედეგებიდან გამომდინარე, სათანადო ზომების მიღებისაკენ.

48. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევა – სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შეუსრულებლობა ან არასათანადოდ შესრულება.

49. მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების პასპორტი – მუნიციპალიტეტში საგანგებო სიტუაციის რისკის ხარისხის, მოსალოდნელი შედეგების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ საგანგებო სიტუაციის პრევენციისათვის განხორციელებული საქმიანობის შეფასებისა და მის მიერ რისკის შემცირების და მიტიგაციის მიზნით ღონისძიებების შემუშავებისა და განხორციელების დასაგეგმავად წინასწარ შემუშავებული დოკუმენტი.

50. პოტენციურად საშიში ობიექტის უსაფრთხოების პასპორტი – პოტენციურად საშიში ობიექტის მომსახურე პერსონალისათვის და მისი მიმდებარე ტერიტორიის მოსახლეობისათვის საგანგებო სიტუაციის რისკის ხარისხის, საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის შესაძლებლობის, საგანგებო სიტუაციის შედეგების განსაზღვრის, მეზობელ ობიექტზე საგანგებო სიტუაციის შედეგების ზემოქმედების, საგანგებო სიტუაციის პრევენციისა და მასზე რეაგირებისთვის მზადყოფნის შეფასების, აგრეთვე პოტენციურად საშიშ ობიექტზე საგანგებო სიტუაციის რისკის შემცირებისა და მიტიგაციის მიზნით ღონისძიებების შემუშავებისა და განხორციელების დასაგეგმავად წინასწარ შემუშავებული დოკუმენტი.

თავი II

ერთიანი სისტემა და მისი ფუნქციონირება

მუხლი 6. ერთიანი სისტემა

1. ერთიანი სისტემა არის საქართველოს ადმინისტრაციული ხელისუფლების, მისი მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, ავტონომიური რესპუბლიკების, სამხარეო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მომუშავე ორგანიზაციების ერთობლიობა, რომელთა მიზანია საგანგებო სიტუაციის პრევენცია და მისთვის მზადყოფნა, საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის შემთხვევაში მასზე რეაგირება და აღდგენითი სამუშაოების ჩატარება, მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ეკონომიკის ობიექტებისა და გარემოს დაცვა და მატერიალური ზიანის შემცირება, საომარი მოქმედებების დროს წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციისაგან მოსახლეობის დაცვა, სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისთვის მიკუთვნებული ობიექტის უსაფრთხო და სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

2. ერთიანი სისტემა მოიცავს საგანგებო სიტუაციის მართვას პოლიტიკურ, ოპერაციულ და ტაქტიკურ დონეებზე.

3. ერთიანი სისტემა უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციის მართვის უწყვეტი პროცესის ძირითადი ფაზების (საგანგებო სიტუაციის პრევენცია, საგანგებო სიტუაციისათვის მზადყოფნა, საგანგებო სიტუაციაზე რეაგირება და აღდგენითი სამუშაოების ჩატარება)

დროს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას, რეაგირების ძალების საქმიანობის ორგანიზებას, მათ მართვას და მატერიალური რესურსების შექმნას.

4. ერთიანი სისტემა მართვის ყველა დონეზე ეფუძნება ამ კანონს, საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებს და მათ საფუძველზე მიღებულ/გამოცემულ ეროვნულ გეგმას, „საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებას და სხვა სამართლებრივ აქტებს.

მუხლი 7. ერთიანი სისტემის ფუნქციონირება

1. საგანგებო სიტუაციების საფრთხიდან ან/და მათი წარმოქმნის პროგნოზირებიდან გამომდინარე, ერთიანი სისტემა ფუნქციონირებს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მართვის ორგანოებით და რეაგირების ძალებით, შესაბამის რეჟიმებში.

2. ერთიანი სისტემა ფუნქციონირებს შემდეგ რეჟიმებში:

ა) ყოველდღიური საქმიანობა – საგანგებო სიტუაციის საფრთხის არარსებობა;

ბ) გაძლიერებული მზადყოფნა – საგანგებო სიტუაციის წარმოქმნისა და განვითარების საფრთხის არსებობა;

გ) საგანგებო რეჟიმი – საგანგებო სიტუაციის განვითარება, აგრეთვე საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადება.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული რეჟიმის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებას საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მართვის დონეების მიხედვით იღებს ერთიანი სისტემის მართვის შესაბამისი ორგანო.

თავი III

საგანგებო სიტუაციების კლასიფიკაცია, საგანგებო სიტუაციის, ხანძრის და მათი შედეგების აღრიცხვა, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მართვა

მუხლი 8. საგანგებო სიტუაციების კლასიფიკაცია

1. საგანგებო სიტუაციების კლასიფიკაცია ხდება წარმოქმნის, გავრცელების, დალუპულთა რაოდენობის და მატერიალური ზიანის მიხედვით.

2. წარმოქმნის მიხედვით საქართველოს ტერიტორიაზე განისაზღვრება შემდეგი საგანგებო სიტუაციები:

ა) ტექნოგენური;

ბ) ბუნებრივი;

გ) სოციალური;

დ) საომარი.

3. საგანგებო სიტუაციის შედეგების მოცულობის, მათი ლიკვიდაციისათვის საჭირო რეაგირების ძალებისა და მატერიალური რესურსების რაოდენობის გათვალისწინებით, აგრეთვე საგანგებო სიტუაციის გავრცელების არეალისა და მასშტაბის მიხედვით საქართველოს ტერიტორიაზე განისაზღვრება საგანგებო სიტუაციების შემდეგი დონეები:

- ა) ეროვნული;
- ბ) ავტონომიური;
- გ) სამხარეო;
- დ) ადგილობრივი;
- ე) საობიექტო.

4. საგანგებო სიტუაციების კლასიფიკაციის წესს ადგენს საქართველოს მთავრობა.

5. საგანგებო სიტუაციების კლასიფიკაციის მახასიათებლებს სამოქალაქო უსაფრთხოების ამოცანების გადასაწყვეტად განსაზღვრავს სააგენტო.

მუხლი 9. საგანგებო სიტუაციის, ხანძრის და მათი შედეგების აღრიცხვა

1. საქართველოში მოქმედებს საგანგებო სიტუაციის, ხანძრის და მათი შედეგების აღრიცხვის ერთიანი სახელმწიფო სისტემა.

2. საგანგებო სიტუაციის, ხანძრის და მათი შედეგების ოფიციალურ სტატისტიკურ აღრიცხვასა და სახელმწიფო სტატისტიკურ ანგარიშგებას ახორციელებს სააგენტო.

3. საგანგებო სიტუაციის, ხანძრის და მათი შედეგების აღრიცხვის წესებს ადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან და საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა დაინტერესებულ ორგანოებთან შეთანხმებით.

4. საგანგებო სიტუაციის, ხანძრის და მათი შედეგების აღრიცხვის დადგენილი წესების შესრულება სავალდებულოა სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის, აგრეთვე ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის, რომლებიც ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას.

მუხლი 10. საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მართვის დონეები

საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მართვის დონეებია:

ა) ეროვნული დონე – საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებას უზრუნველყოფენ ერთიანი სისტემის ორ ან მეტ მხარეში განლაგებული რეაგირების ძალები და საავარიო-სამაშველო საშუალებები იმ მატერიალური რესურსების გათვალისწინებით, რომლებსაც განკარგავენ ერთიანი სისტემის სუბიექტები;

ბ) ავტონომიური დონე – საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებას უზრუნველყოფენ ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, მისი ტერიტორიის ფარგლებში ფუნქციონირებადი ორგანიზაციების, აგრეთვე სააგენტოს რეაგირების ძალები იმ მატერიალური რესურსების გამოყენებით, რომლებსაც განკარგავენ აღნიშნული

ადმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების ტერიტორიული ორგანოები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, ორგანიზაციები და სააგენტო, და საგანგებო სიტუაციის ზონა არ სცდება ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიის ფარგლებს;

გ) სამხარეო დონე – საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებას უზრუნველყოფენ მხარის შესაბამისი ადმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების ტერიტორიული ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, მისი ტერიტორიის ფარგლებში ფუნქციონირებადი ორგანიზაციების, აგრეთვე სააგენტოს რეაგირების ძალები იმ მატერიალური რესურსების გამოყენებით, რომლებსაც განკარგავენ აღნიშნული ადმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების ტერიტორიული ორგანოები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, ორგანიზაციები და სააგენტო, და საგანგებო სიტუაციის ზონა არ სცდება მხარის ტერიტორიის ფარგლებს;

დ) ადგილობრივი დონე – საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებას უზრუნველყოფენ ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ადმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების ტერიტორიული ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, მისი ტერიტორიის ფარგლებში ფუნქციონირებადი ორგანიზაციების, აგრეთვე სააგენტოს რეაგირების ძალები იმ მატერიალური რესურსების გამოყენებით, რომლებსაც განკარგავენ აღნიშნული ადმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების ტერიტორიული ორგანოები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, ორგანიზაციები და სააგენტო, და საგანგებო სიტუაციის ზონა არ სცდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ფარგლებს;

ე) საობიექტო დონე – საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებას უზრუნველყოფენ შესაბამისი ობიექტის რეაგირების ძალები და საავარიო-სამაშველო საშუალებები იმ მატერიალური რესურსების გამოყენებით, რომლებსაც განკარგავს აღნიშნული ობიექტი, და საგანგებო სიტუაციის ზონა არ სცდება ამ ობიექტის ტერიტორიის ფარგლებს.

მუხლი 11. საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მართვის ორგანოები

1. საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მართვის ორგანოებია:

ა) ეროვნულ დონეზე:

ა.ა) საქართველოს პრემიერ-მინისტრი, რომელსაც საგანგებო სიტუაციების მართვის მიზნით პოლიტიკური გადაწყვეტილების მისაღებად შესაბამის რეკომენდაციებსა და წინადადებებს წარუდგენს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო;

ა.ბ) საგანგებო სიტუაციების მართვის საუწყებათაშორისო ოპერატიული ცენტრი – სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოს მიერ ერთიანი სისტემის ადმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების უფლებამოსილი პირებისაგან შექმნილი ორგანო, რომელიც ოპერაციულ დონეზე ორგანიზებასა და კოორდინაციას უწევს მოსალოდნელ ან ფაქტობრივ საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებას;

ა.გ) ადმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების საგანგებო შტაბები (შემდგომ – საგანგებო შტაბი) – ერთიანი სისტემის სუბიექტების მართვის ორგანოები, რომელთა უფლებამოსილებაა მართვის დონისა და დარგობრივი დაქვემდებარების მიხედვით

სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ერთიანი სისტემის შესაბამისი სუბიექტების საქმიანობის ორგანიზება;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკის დონეზე – საგანგებო სიტუაციების მართვის ავტონომიური რესპუბლიკის ოპერატიული ცენტრი (შემდგომ – ავტონომიური რესპუბლიკის ოპერატიული ცენტრი) – ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელის მიერ ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, ორგანიზაციების რეაგირების ძალებისა და სააგენტოს ტერიტორიული დანაყოფის უფლებამოსილი პირებისაგან შექმნილი ორგანო, რომელიც ავტონომიური რესპუბლიკის დონეზე (ოპერაციულ დონეზე) ორგანიზებასა და კოორდინაციას უწევს მოსალოდნელ ან ფაქტობრივ საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებას;

გ) სამხარეო დონეზე – საგანგებო სიტუაციების მართვის სამხარეო ოპერატიული ცენტრი (შემდგომ – სამხარეო ოპერატიული ცენტრი) – სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის მიერ სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის, შესაბამისი აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების ტერიტორიული ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, ორგანიზაციების რეაგირების ძალებისა და სააგენტოს ტერიტორიული დანაყოფის უფლებამოსილი პირებისაგან შექმნილი ორგანო, რომელიც სამხარეო დონეზე (ოპერაციულ დონეზე) ორგანიზებასა და კოორდინაციას უწევს მოსალოდნელ ან ფაქტობრივ საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებას;

დ) ადგილობრივ დონეზე – საგანგებო სიტუაციების მართვის ადგილობრივი ოპერატიული ცენტრი (შემდგომ – ადგილობრივი ოპერატიული ცენტრი) – ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელის (გამგებლის/მერის) მიერ შესაბამისი აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების ტერიტორიული ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, ორგანიზაციების რეაგირების ძალებისა და სააგენტოს ტერიტორიული დანაყოფის უფლებამოსილი პირებისაგან შექმნილი ორგანო, რომელიც ადგილობრივ დონეზე (ოპერაციულ დონეზე) ორგანიზებასა და კოორდინაციას უწევს მოსალოდნელ ან ფაქტობრივ საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებას;

ე) საობიექტო დონეზე – ობიექტის საგანგებო შტაბი.

2. მართვის დონეების მიხედვით საგანგებო სიტუაციაზე რეაგირება ხდება ეროვნული გეგმის, „საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ოპერატიული ცენტრები იქმნება გარკვეული ვადით, მოსალოდნელი ან ფაქტობრივი საგანგებო სიტუაციიდან გამომდინარე, ვითარების ხასიათისა და მასშტაბის გათვალისწინებით.

4. ოპერატიული ცენტრის შექმნამდე მოსალოდნელ ან ფაქტობრივ საგანგებო სიტუაციაზე პირველად რეაგირებას ახდენს სააგენტო ან ახდენენ ერთიანი სისტემის შესაბამისი რეაგირების ძალები.

5. საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების მიზნით ოპერატიული ცენტრები უფლებამოსილი არიან, ვითარების გათვალისწინებით, საგანგებო სიტუაციის ზონაში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე შექმნან საველე ოპერაციების ერთი ან რამდენიმე ცენტრი, რომელიც/რომლებიც ადგილზე ახორციელებს/ახორციელებენ საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებას და ტაქტიკურ დონეზე რეაგირების ძალების მართვას.

6. აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულების ხელმძღვანელი, ობიექტის საგანგებო შტაბის ხელმძღვანელი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში იმავდროულად არის სამოქალაქო უსაფრთხოების დაგეგმვისა და განხორციელებისათვის პასუხისმგებელი პირი.

მუხლი 12. სამოქალაქო უსაფრთხოების ღონისძიებების დაფინანსება

1. ამ კანონით განსაზღვრული სამოქალაქო უსაფრთხოების ღონისძიებები ფინანსდება, შესაბამისად, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების, სამხარეო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ბიუჯეტებიდან და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა სახსრებით.
2. საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებისა და მისი შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები ფინანსდება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესით.
3. სამოქალაქო უსაფრთხოების ღონისძიებებს ორგანიზაციები ამ კანონის შესაბამისად მათთვის მინიჭებული უფლებებისა და დაკისრებული მოვალეობების ფარგლებში აფინანსებენ საკუთარი სახსრებით, ხოლო საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და სამედიცინო დაწესებულებები – შესაბამისი მიზნობრივი პროგრამების საფუძველზე.

მუხლი 13. საქართველოს პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილება საგანგებო სიტუაციისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის სფეროში

საქართველოს პრემიერ-მინისტრს ეროვნულ დონეზე პოლიტიკური გადაწყვეტილების მისაღებად, ერთიან სისტემაში შემავალი ყველა უწყებისა და დამხმარე ორგანიზაციის მიერ ეროვნული გეგმითა და „საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებზე შესაბამისი რეკომენდაციებისა და წინადადებების წარდგენით სათანადო დახმარებას უწევს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო.

მუხლი 14. სააგენტოს მართვის დონეები და სააგენტოს უფლებამოსილება

1. სამოქალაქო უსაფრთხოების ამოცანების გადასაწყვეტად მართვის დონეების მიხედვით სააგენტოს წარმოადგენენ:
 - ა) ეროვნულ დონეზე – სააგენტო;
 - ბ) ავტონომიურ დონეზე – სააგენტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიული დანაყოფი;
 - გ) სამხარეო დონეზე – სააგენტოს ტერიტორიული დანაყოფი, რომელიც იქმნება იმ ქალაქში, სადაც განთავსებულია სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია;
 - დ) ადგილობრივ დონეზე – სააგენტოს ტერიტორიული დანაყოფი, რომელიც იქმნება შესაბამისი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

2. სააგენტოს განსაკუთრებული უფლებამოსილებაა ერთიანი სისტემის სუბიექტების საქმიანობის კოორდინირება.

3. სააგენტოს უფლება აქვს, საგანგებო სიტუაციის პრევენციის, ერთიანი სისტემის მზადყოფნისა და საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების უზრუნველსაყოფად სათანადო ხელშეკრულება გააფორმოს შესაბამის იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან.

4. სააგენტო თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ორგანიზებას უწევს სამოქალაქო უსაფრთხოების შემდეგი ღონისძიებების განხორციელებას:

ა) ეროვნული გეგმის პროექტის შემუშავებას, დადგენილი წესით საქართველოს მთავრობისათვის დასამტკიცებლად წარდგენის უზრუნველყოფას და ეროვნული გეგმის განხორციელებაზე ზედამხედველობას;

ბ) პოტენციური საფრთხეების და საგანგებო სიტუაციების რისკის ანალიზის განხორციელების მეთოდოლოგიური რეკომენდაციების შემუშავებას და დადგენილი წესით დასამტკიცებლად წარდგენას;

გ) საგანგებო მართვის გეგმის მომზადებაში მონაწილეობას და მის განხორციელებაზე ზედამხედველობას;

დ) რისკის მართვის გეგმის მომზადებაში მონაწილეობას და მის განხორციელებაზე ზედამხედველობას;

ე) საგანგებო ვითარების შეფასების ინსტრუქციების შემუშავებას და დადგენილი წესით დასამტკიცებლად წარდგენას;

ვ) საგანგებო სიტუაციების შესახებ ინფორმაციის შეგროვების, დამუშავებისა და გადაცემის წესების შემუშავებას და დადგენილი წესით დასამტკიცებლად წარდგენას;

ზ) სამაშველო სამუშაოების სახეობების ჩამონათვალის შემუშავებას და დადგენილი წესით დასამტკიცებლად წარდგენას;

თ) ყველა კატეგორიის მოსახლეობისათვის სასწავლო პროგრამების შემუშავების ორგანიზებას;

ი) მოსალოდნელი ან ფაქტობრივი საგანგებო სიტუაციის შესახებ მოსახლეობისთვის შეტყობინების პროცედურების შემუშავებას;

კ) სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისა და სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისთვის მიკუთვნებული ობიექტების ზედამხედველობის განხორციელების ორგანიზაციულ-სამართლებრივი უზრუნველყოფის და სახანძრო-ტექნიკური პროდუქტის გამოყენების მარეგლამენტირებელი ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავებას და დადგენილი წესით დასამტკიცებლად წარდგენას;

ლ) ხანძრის პროფილაქტიკისა და ჩაქრობის მიზნით სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემის სუბიექტების უფლებამოსილებისა და ორგანიზების საფუძვლების შემუშავებას;

მ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებების განხორციელებას და მოვალეობების შესრულებას.

5. ტაქტიკურ დონეზე საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების ორგანიზების მიზნით სააგენტო უზრუნველყოფს საველე ოპერაციების ცენტრის შექმნასა და ფუნქციონირებას საგანგებო სიტუაციის ზონაში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე.

6. საგანგებო სიტუაციების რისკის შემცირების სტრატეგიის ფარგლებში სააგენტოსთან იქმნება ეროვნული საზოგადოებრივი სათათბირო ორგანო – საექსპერტო-საკონსულტაციო საბჭო, რომლის შემადგენლობა, მიზნები, ამოცანები და საქმიანობის წესი განისაზღვრება საექსპერტო-საკონსულტაციო საბჭოს დებულებით. ამ დებულებას ამტკიცებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი.

7. სააგენტოს ძირითადი დანაყოფებია:

ა) სააგენტოს სტრუქტურული დანაყოფები, რომლებიც ახორციელებენ სააგენტოს ტერიტორიული და სახელმწიკრულებო დანაყოფების საქმიანობის კოორდინაციასა და კონტროლს;

ბ) სააგენტოს ტერიტორიული დანაყოფები, რომლებიც უზრუნველყოფენ დასახლებებში ხანძრის პროფილაქტიკას, ჩაქრობას და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარებას;

გ) სააგენტოს სახელმწიკრულებო დანაყოფები, რომლებიც ახორციელებენ ფიზიკური და იურიდიული პირების ქონების ხანძრისაგან ან/და საგანგებო სიტუაციისაგან დაცვას.

მუხლი 15. საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების ორგანიზება და ხელმძღვანელობა

1. საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებას ახორციელებენ რეაგირების ძალები მათ ხელთ არსებული მატერიალური რესურსებისა და საავარიო-სამაშველო საშუალებების გამოყენებით. საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებაში მონაწილეობენ სავალდებულო ოპერაციების შემსრულებელი ფიზიკური და იურიდიული პირები.

2. საგანგებო სიტუაციების მართვის საუწყებათაშორისო ოპერატიული ცენტრის საქმიანობას ხელმძღვანელობს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი.

3. საგანგებო შტაბის საქმიანობას ხელმძღვანელობს შესაბამისი აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულების ხელმძღვანელი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი.

4. ავტონომიური რესპუბლიკის ოპერატიული ცენტრის საქმიანობას ხელმძღვანელობს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი.

5. სამხარეო ოპერატიული ცენტრის საქმიანობას ხელმძღვანელობს სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი.

6. ადგილობრივი ოპერატიული ცენტრის საქმიანობას ხელმძღვანელობს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი (გამგებელი/მერი) ან მის მიერ უფლებამოსილი პირი.

7. ობიექტის საგანგებო შტაბის საქმიანობას ხელმძღვანელობს შესაბამისი ობიექტის ხელმძღვანელი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი.

8. ავტონომიური რესპუბლიკის, სამხარეო და ადგილობრივი ოპერატიული ცენტრების ხელმძღვანელების მოადგილეები არიან სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელები ან მათ მიერ უფლებამოსილი პირები.

9. საველე ოპერაციების ცენტრს ხელმძღვანელობს/ხელმძღვანელობენ შესაბამისი ოპერატიული ცენტრის მიერ დანიშნული უფლებამოსილი პირი/პირები, ხოლო შესაბამისი ოპერატიული ცენტრის შექმნამდე – სააგენტოს უფლებამოსილი პირი/პირები.

10. საგანგებო სიტუაციის ზონაში საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებას უშუალოდ ხელმძღვანელობს:

ა) საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების მართვის დონის შესაბამისი ოპერატიული ცენტრის ხელმძღვანელის მიერ დანიშნული პირი;

ბ) ერთიანი სისტემის რეაგირების ძალების უფლებამოსილი თანამდებობის პირი, რომელიც პირველი მივიდა ინციდენტის ადგილზე, მისი გამომწვევი მიზეზის ხასიათის გათვალისწინებით, ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ხელმძღვანელის მისვლამდე.

11. თუ საველე ოპერაციების ცენტრი შექმნილია, რეაგირების ძალები, მიუხედავად მათი დაქვემდებარებისა, საგანგებო სიტუაციის ზონაში მისვლისთანავე გადადიან საველე ოპერაციების ცენტრის ხელმძღვანელის დაქვემდებარებაში.

12. საგანგებო სიტუაციის ზონაში საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების ხელმძღვანელი პასუხისმგებელია ერთიანი სისტემის რეაგირების ძალების და საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების სხვა მონაწილეების უსაფრთხოებისათვის.

13. საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნენ საქართველოს სამხედრო ძალების შესაბამისი დანაყოფები საქართველოს კანონმდებლობის თანახმად.

14. საომარი მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში პირებს, რომლებიც წარმოადგენენ რეაგირების ძალებს, მიეცემათ 1949 წლის 12 აგვისტოს „საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვის შესახებ“ ჟენევის კონვენციის დამატებითი ოქმით (ოქმი I, 1977 წლის 8 ივნისი) დადგენილი სამოქალაქო თავდაცვის პერსონალის პირადობის დამადასტურებელი საერთაშორისო მოწმობა.

მუხლი 16. სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სამუშაოების შესრულება და მომსახურების გაწევა

1. სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სამუშაოებსა და მომსახურებას განეკუთვნება:

ა) ხელშეკრულების საფუძველზე ფიზიკური და იურიდიული პირების ქონების ხანძრისაგან ან/და საგანგებო სიტუაციისაგან დაცვის უზრუნველყოფა;

ბ) სახანძრო უსაფრთხოების ზომების ან/და საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების შემუშავება, სახანძრო უსაფრთხოების ან/და საგანგებო სიტუაციისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის საკითხებზე ტექნიკური კონსულტაციების გაწევა;

გ) სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების ან/და საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით ორგანიზაციული და ტექნიკური გადაწყვეტილებების შემუშავება;

დ) საპროექტო სამუშაოების შესრულება;

ე) სამოქალაქო უსაფრთხოების უზრუნველყოფის კამპანია, სპეციალური ლიტერატურის და სარეკლამო პროდუქციის გამოშვება;

ვ) ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის მოწყობილობებისა და სისტემების მონტაჟი, გამართვა, შეკეთება და ტექნიკური მომსახურება;

ზ) სახანძრო უსაფრთხოებაზე ნივთიერების, მასალის, ნაკეთობისა და კონსტრუქციის გამოცდა;

თ) ცეცხლდამცავი და საღუმელე სამუშაოების შესრულება;

ი) სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და საგანგებო სიტუაციებში ქცევის წესების, აგრეთვე საგანგებო სიტუაციების მართვის ორგანიზების სწავლება;

კ) სახანძრო-ტექნიკური პროდუქტის წარმოება, გამოცდა, შესყიდვა და საქართველოში შემოტანა;

ლ) სახანძრო დაცვის შენობის, ნაგებობისა და სათავსის მშენებლობა, რეკონსტრუქცია და შეკეთება;

მ) წყალზე სამაშველო სამუშაოების ჩატარება, გარდა „საზღვაო-სამაშველო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა;

ნ) სამოქალაქო უსაფრთხოების უზრუნველყოფისაკენ მიმართული სხვა სამუშაოები და მომსახურება.

2. სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სამუშაოები სრულდება და მომსახურება გაიწევა ხელშეკრულების საფუძველზე კერძო სამართლის იურიდიული პირებისა და ფიზიკური პირების, აგრეთვე სააგენტოს მიერ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების შესრულების, ხანძრის პროფილაქტიკის, ჩაქრობის და წყალზე სამაშველო სამუშაოების ჩატარების მიზნით.

3. ამ მუხლით განსაზღვრული ხელშეკრულების გაფორმება ნებაყოფლობითია.

4. სააგენტოს მიერ სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სამუშაოების შესრულების და მომსახურების გაწევის სახეებს და საფასურს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა. სააგენტო ხანძრის ჩაქრობას და საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებას ახორციელებს უპირობო წესით.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურება გულისხმობს ხელშეკრულების საფუძველზე ფიზიკური და იურიდიული პირების ქონების ხანძრისაგან ან/და საგანგებო სიტუაციისაგან დაცვის მიზნით უსაფრთხოების განსაკუთრებული პრევენციული და რეაგირების ზომების მიღებას, მათ შორის, ხანძრის პროფილაქტიკის, ჩაქრობის და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ორგანიზებასა და ჩატარებას, ხანძრის დაწყებით სტადიაზე რეაგირებას, პირადი შემადგენლობის პროფესიული მომზადებისა და გადამზადების უზრუნველყოფას და მომსახურების ორგანიზებისათვის საჭირო სხვა ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებას.

თავი IV

სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ერთიანი სისტემის სუბიექტებისა და მოსახლეობის მომზადების ორგანიზება

მუხლი 17. რეაგირების ძალებისა და მოსახლეობის მომზადება

1. მოსალოდნელი ან ფაქტობრივი საგანგებო სიტუაციის წინასწარ განსაზღვრისა და მასზე დაუყოვნებლივ რეაგირებისათვის ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეძენის მიზნით ხორციელდება სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში რეაგირების ძალებისა და მოსახლეობის მომზადება.
2. სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში რეაგირების ძალებისა და მოსახლეობის მომზადებას უზრუნველყოფენ, შესაბამისად, სახელმწიფო ხელისუფლების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, სამხარეო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და ორგანიზაციები თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში.
3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ორგანიზებას უწევს რეაგირების ძალების მომზადებასა და გადამზადებას, აგრეთვე მათ მუდმივ მზადყოფნას.
4. საგანმანათლებლო დაწესებულებებში სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და საგანგებო სიტუაციებში ქცევის წესების, აგრეთვე სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებისა და საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების სწავლებას უზრუნველყოფენ აღნიშნული დაწესებულებები დადგენილი წესით შემუშავებული და სააგენტოსთან შეთანხმებული პროგრამებით.
5. მეწარმე სუბიექტებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების თანამშრომლებისათვის სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლებას უზრუნველყოფენ ამ მეწარმე სუბიექტებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ხელმძღვანელები სახანძრო უსაფრთხოების სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 18. (ამოღებულია)

მუხლი 19. სამოქალაქო უსაფრთხოების ვარჯიში

1. სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში რეაგირების ძალების მზადყოფნის შეფასების, სიმულაციური საგანგებო სიტუაციის ან საომარი მოქმედებების დროს საგანგებო მართვის გეგმით განსაზღვრული მოქმედებებისა და პროცედურების ცოდნის შემოწმებისა და მართვის უნარ-ჩვევების დახვეწის მიზნით ეროვნული გეგმის შესაბამისად ტარდება სამოქალაქო უსაფრთხოების ვარჯიში (შემდგომ – ვარჯიში).
2. ვარჯიშის სახეებია:
 - ა) სამაგიდო, ანუ სამეთაურო-სამტაბო ვარჯიში;
 - ბ) ტაქტიკურ-სპეციალური ვარჯიში;
 - გ) კომპლექსური ვარჯიში.

3. ვარჯიში ტარდება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ დამტკიცებული სასწავლო პროგრამებისა და ინსტრუქციის შესაბამისად.

თავი V

სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ერთიანი სისტემის სუბიექტებისა და მოსახლეობის უფლებამოსილებები

მუხლი 20. საქართველოს მთავრობის უფლებამოსილება

საქართველოს მთავრობა განსაზღვრავს მშვიდობიანობის და საომარი მოქმედებების დროს წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში ეროვნული გეგმის ამოქმედებისა და მოსახლეობის ევაკუაციის განხორციელების წესებს. მის უფლებამოსილებას განეკუთვნება:

ა) ეროვნული გეგმის დამტკიცება;

ბ) საგანგებო სიტუაციის პრევენციის და მასზე რეაგირების მიზნით საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებისათვის ძირითადი ამოცანების, ფუნქციებისა და მოქმედების წესის განსაზღვრა;

გ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისთვის მიკუთვნებული ობიექტის უსაფრთხო ექსპლუატაციის ნორმებისა და წესების დამტკიცება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

მუხლი 21. საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილება

1. საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილებას საგანგებო სიტუაციისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის სფეროში ეროვნული გეგმით, „საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებითა და სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში განეკუთვნება:

ა) მშვიდობიანობის და საომარი მოქმედებების დროს წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციების შესახებ მოსახლეობისთვის შეტყობინება და მისი ინფორმირება უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელი ქმედებების შესახებ;

ბ) მოსახლეობის ევაკუაცია და თავშესაფრებში მოთავსება ან/და მისთვის თავშესაფრების მოწყობა;

გ) ეროვნული გეგმის შესაბამისად, საგანგებო სიტუაციის დროს მოსახლეობის სახანძრო, საინჟინრო, ქიმიური, რადიაციული, სამედიცინო, ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური დაცვის ღონისძიებების ორგანიზება;

დ) საგანგებო სიტუაციის დროს მოსახლეობის საცხოვრებლით, პირველადი მოხმარების საგნებით, კვების პროდუქტებისა და წყლის აუცილებელი მარაგით უზრუნველყოფა;

ე) საგანგებო სიტუაციაზე რეაგირება და აღდგენითი სამუშაოების ჩატარება, საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფა, კომუნალური სამსახურების ფუნქციონირების აღდგენა და სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისთვის მიკუთვნებული ობიექტების ფუნქციონირების მდგრადობის შენარჩუნება;

ვ) მშვიდობიანობის და საომარი მოქმედებების დროს წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციების შედეგად ადამიანთა მასობრივი დაღუპვის შემთხვევაში გარდაცვლილთა დაკრძალვის ორგანიზება;

ზ) საგანგებო სიტუაციის რისკის დროულად გამოვლენა, მისი პრევენციის, საგანგებო სიტუაციისა და საომარი მოქმედებების დროს სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისთვის მიკუთვნებული ობიექტების სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად მიზნობრივი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების განხორციელება;

თ) სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება, ამ მიზნით თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ნორმატიული აქტების მიღება/გამოცემა და მათ შესრულებაზე ზედამხედველობა, ეროვნული გეგმის მიხედვით სამოქალაქო უსაფრთხოების განხორციელების ორგანიზება;

ი) საქართველოს ტერიტორიისა და ქალაქების ჯგუფებად დაყოფის და ორგანიზაციების კატეგორიებად დაყოფის ორგანიზება;

კ) სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობის გეგმების შემუშავება;

ლ) საგანგებო სიტუაციების (მათ შორის, ტყეებში ხანძრით გამოწვეული საგანგებო სიტუაციების) კლასიფიკაციის, ამ სიტუაციებზე რეაგირების მიზნით საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა უფლებამოსილებების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთქმედების წესის დადგენა;

მ) საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში საგანგებო შტაბების და საგანგებო სიტუაციების მართვის დანაყოფების შექმნა;

ნ) მოსალოდნელი ან ფაქტობრივი საგანგებო სიტუაციის, აგრეთვე საომარი მოქმედებების დროს დარგების მდგრადი ფუნქციონირების მიზნით ორგანიზაციული და საინჟინრო-ტექნიკური ღონისძიებების დაგეგმვა;

ო) საგანგებო სიტუაციების პრევენციული ღონისძიებების, რისკის მართვის გეგმების შემუშავება და განხორციელება;

პ) სამეცნიერო-კვლევითი, საცდელ-საკონსტრუქტორო, საგამოცდო და საპროექტო სამუშაოების ორგანიზება;

ჟ) ვარჯიშის ორგანიზება;

რ) მოსალოდნელი ან ფაქტობრივი საგანგებო სიტუაციის დროს საგანგებო შტაბის შექმნა და მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

ს) მატერიალური რეზერვების მობილიზება;

ტ) უწყებრივი საგანგებო მართვის გეგმების შემუშავება და სააგენტოსთან შეთანხმების შემდეგ შესაბამისი უწყების ხელმძღვანელის მიერ მათი დამტკიცება;

უ) სააგენტოსთან და რეაგირების ძალებთან სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობის წესის შესაბამისად ერთობლივი ღონისძიებების განხორციელების ორგანიზება;

ფ) საგანგებო სიტუაციის პრევენციის და მასზე რეაგირების მიზნით საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების მართვის ორგანოების, რეაგირების ძალების მზადყოფნის უზრუნველყოფა და მატერიალური რესურსების შექმნა;

ქ) საგანგებო სიტუაციის პრევენციის და მასზე რეაგირების მიზნით რეაგირების ძალების მომზადება და გადამზადება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, ორგანიზაციების, სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისთვის მიკუთვნებული ობიექტების უფლებამოსილი თანამდებობის პირების და მოსახლეობის მომზადება სააგენტოსთან შეთანხმებული სასწავლო პროგრამების მიხედვით;

ღ) საგანგებო სიტუაციის შედეგებით დაზარალებული მოსახლეობისათვის დახმარების გაწევა და ჰუმანიტარული და სოციალური დაცვის ღონისძიებების განხორციელების ორგანიზება;

ყ) საერთაშორისო თანამშრომლობისა და მასპინძელი ქვეყნის მხარდაჭერის ღონისძიებების უზრუნველყოფის განსაზღვრა;

შ) წყალზე ადამიანის სიცოცხლის დაცვა და მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

2. საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების უფლებამოსილებას სახანძრო უსაფრთხოების სფეროში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში განეკუთვნება:

ა) სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება, ამ მიზნით ნორმატიული აქტების მიღება/გამოცემა და მათ შესრულებაზე ზედამხედველობა;

ბ) მიზნობრივი პროგრამების შემუშავება, მათი განხორციელების ორგანიზება და დაფინანსება;

გ) ტექნიკური რეგლამენტების, ნორმების, წესების და სახანძრო უსაფრთხოების სფეროში მოქმედი სხვა ნორმატიული აქტების, მათ შორის, ხანძრის ჩაქრობის და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ორგანიზებისა და ჩატარების მარეგლამენტირებელი დოკუმენტების, შემუშავება;

დ) სახანძრო უსაფრთხოების ზომების მისაღებად საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ხარჯვითი ნაწილის მომზადება და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების მიზნობრივი გამოყენების უზრუნველყოფა;

ე) სახანძრო დაცვის დანაყოფების ან/და მათი მართვის ორგანოების შექმნა, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია;

ვ) სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანიზება და განხორციელება;

ზ) სახელმწიფო საინფორმაციო უზრუნველყოფა, ხანძრისა და მისი შედეგების სტატისტიკური აღრიცხვის სისტემების შექმნა;

თ) შესაბამისობის დადგენის საერთო პრინციპების განსაზღვრა;

ი) სააგენტოს პირადი შემადგენლობისა და მისი ოჯახის წევრების სამართლებრივი და სოციალური დაცვის ღონისძიებების განხორციელება;

კ) საჭიროების შემთხვევაში საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლებისადმი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში საუწყებო სახანძრო ზედამხედველობის ორგანიზება;

ლ) საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, პოტენციურად საშიში, ეროვნული საგანძურის და კულტურული მემკვიდრეობის იმ ობიექტების ჩამონათვალის მომზადება, სადაც აუცილებელია სახანძრო დაცვის შექმნა.

3. სახანძრო უსაფრთხოების სფეროში საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებები თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში ვალდებული არიან:

ა) უზრუნველყონ მათდამი დაქვემდებარებულ ობიექტებში და შესაბამის ტერიტორიებზე სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულება;

ბ) შექმნან პირობები ხანძრის პროფილაქტიკისა და ჩაქრობის სამუშაოებში მოსახლეობის ჩასაბმელად;

გ) ორგანიზება გაუწიონ ხანძარსაწინააღმდეგო კამპანიას და მოსახლეობისათვის სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლებას;

დ) უზრუნველყონ ტყის ხანძრის პროფილაქტიკა;

ე) უზრუნველყონ ხანძრის ჩაქრობის და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ორგანიზება.

4. საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების უფლებამოსილი პირები მეთოდურ ხელმძღვანელობას უწევენ შესაბამის დარგში მოქმედ იურიდიულ პირებს საგანგებო სიტუაციის დროს მათი თანამშრომლების დაცვისა და იურიდიული პირების უსაფრთხო ფუნქციონირების უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით.

5. საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების ხელმძღვანელები პასუხისმგებელი არიან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მათი დანაყოფების მიერ სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მათთვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებისათვის.

6. საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებები სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ახორციელებენ ინფორმაციის მოპოვებას, დამუშავებასა და გაცემას, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

7. საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი დაწესებულებები საქართველოს კანონმდებლობის თანახმად ახორციელებენ ტყეების, სამთო სამუშაოების წარმოების მიწისქვეშა ობიექტების, სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების წარმოების, ტრანსპორტირების, შენახვის, გამოყენების, განადგურებისა და გადამუშავების, აგრეთვე საჰაერო, საზღვაო და სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებების, მცურავი საზღვაო საშუალებებისა და ნაგებობების ექსპლუატაციის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულების ზედამხედველობას, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებებს.

8. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ობიექტების მიმართ სააგენტოს უფლებამოსილება განისაზღვრება საქართველოს თავდაცვის მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით.

მუხლი 22. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობების და სახელმწიფო რწმუნებულების – გუბერნატორების უფლებამოსილებები

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობები და სახელმწიფო რწმუნებულები – გუბერნატორები თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში, სააგენტოსთან კოორდინაციით:

- ა) სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში გამოსცემენ სამართლებრივ აქტებს;
- ბ) ქმნიან საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მართვის დონეების შესაბამის ოპერატიულ ცენტრებს;
- გ) ორგანიზებას უწევენ მოსახლეობის ევაკუაციას, ღონისძიებების განხორციელებას ევაკუირებული მოსახლეობის სტაციონარული ან სხვა დროებითი საცხოვრებლით უზრუნველსაყოფად;
- დ) სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში იღებენ და ამუშავებენ შესაბამის ინფორმაციას;
- ე) ორგანიზებას უწევენ და ზედამხედველობენ დაზარალებული მოსახლეობისათვის ჰუმანიტარული დახმარების განაწილებას;
- ვ) ორგანიზებას უწევენ ერთიანი სისტემის შესაბამისი სუბიექტების საერთო მზადყოფნას და საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებას;
- ზ) ორგანიზებას უწევენ სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისთვის მიკუთვნებული ობიექტების უსაფრთხო და სტაბილური ფუნქციონირების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას;
- თ) საგანგებო სიტუაციის პრევენციის, ერთიანი სისტემის მზადყოფნის, საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებისა და აღდგენითი სამუშაოების ორგანიზების სფეროში ახორციელებენ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს;
- ი) ორგანიზებას უწევენ ვარჯიშს;
- კ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად ატყობინებენ მოსახლეობას მოსალოდნელი ან ფაქტობრივი საგანგებო სიტუაციიდან გამომდინარე საფრთხეების შესახებ;
- ლ) გეგმავენ და ახორციელებენ სამოქალაქო უსაფრთხოების პრევენციულ ღონისძიებებს, შეიმუშავებენ და ამტკიცებენ რისკის მართვის გეგმებსა და საგანგებო მართვის გეგმებს;
- მ) ორგანიზებას უწევენ შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში რეაგირების ძალების საქმიანობას და ერთობლივი ღონისძიებების განხორციელებას.

მუხლი 23. საგანგებო სიტუაციისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის სფეროში მუნიციპალიტეტისათვის დელეგირებული უფლებამოსილებები

საგანგებო სიტუაციისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის სფეროში მუნიციპალიტეტისათვის დელეგირებული უფლებამოსილებებია:

ა) სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ამ მუხლითა და ამ კანონის 24-ე მუხლით განსაზღვრული უფლებამოსილებების განსახორციელებლად შესაბამისი ნორმატიული აქტების მომზადება და მიღება;

ბ) საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მართვის დონეების შესაბამისი ოპერატიული ცენტრების შექმნა;

გ) საგანგებო სიტუაციის დროს შესაბამისი რეაგირების ძალების მობილიზება და საავარიო-სამაშველო სამუშაოებში მათი ჩართულობის ორგანიზება, აგრეთვე რეაგირების ძალების მომზადების და მათი მუდმივი მზადყოფნის უზრუნველყოფა;

დ) საგანგებო სიტუაციისა და საომარი მოქმედებების დროს, აუცილებლობის შემთხვევაში, მოსახლეობის ევაკუაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება და ევაკუირებული მოსახლეობის სტაციონარული ან სხვა დროებითი საცხოვრებელი უზრუნველყოფა;

ე) სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში შესაბამისი ინფორმაციის მიღება და დამუშავება;

ვ) დაზარალებული მოსახლეობისა და უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირებისათვის ჰუმანიტარული დახმარების განაწილების უზრუნველყოფა;

ზ) საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებასა და აღდგენით სამუშაოებში მონაწილეობა და მათი ორგანიზება;

თ) სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისთვის მიკუთვნებული ობიექტების სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად აუცილებელი ზომების მიღება;

ი) ვარჯიშის ორგანიზება;

კ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად, მოსალოდნელი ან ფაქტობრივი საგანგებო სიტუაციიდან გამომდინარე საფრთხეების შესახებ მოსახლეობისთვის შეტყობინება;

ლ) სააგენტოსთან შეთანხმებით სამოქალაქო უსაფრთხოების პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, რისკის მართვის გეგმებისა და საგანგებო მართვის გეგმების შემუშავება და დამტკიცება;

მ) სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სააგენტოსთან შეთანხმებული სასწავლო პროგრამების მიხედვით მოსახლეობის მომზადების ორგანიზება;

ნ) სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მოსახლეობის ინფორმირება;

ო) დადგენილი წესით მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების პასპორტის ფორმის შევსებაში მონაწილეობა;

პ) სამოქალაქო უსაფრთხოების რეზერვისტების მობილიზების უზრუნველყოფა.

მუხლი 24. სახანძრო უსაფრთხოების სფეროში მუნიციპალიტეტისათვის დელეგირებული უფლებამოსილებები

1. სახანძრო უსაფრთხოების სფეროში მუნიციპალიტეტისათვის დელეგირებული უფლებამოსილებებია:

ა) მუნიციპალიტეტის ტერიტორიის იმ დასახლებაში, სადაც განთავსებული არ არის სააგენტოს სახანძრო-სამაშველო დანაყოფები, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მუნიციპალური სახანძრო დაცვის სახანძრო-სამაშველო დანაყოფების შექმნა ხანძრის ჩასაქრობად და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩასატარებლად;

ბ) ხანძრის ჩასაქრობად მუნიციპალიტეტის საზღვრებში არსებული ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების ხელოვნური და ბუნებრივი წყაროებიდან (ხანძარსაწინააღმდეგო წყალსადენი, სახანძრო წყალსატევი, წყლის შესანახი რეზერვუარი, მდინარე, ტბა, აუზი და სხვა) წლის ნებისმიერ დროს სახანძრო ტექნიკით წყლის აღებისათვის პირობების შექმნა;

გ) ტყის მასივების ხანძრისაგან დაცვის ორგანიზება და გაჩენილი ხანძრის ჩაქრობის ღონისძიებებში მონაწილეობა;

დ) ხანძრის შესახებ მოსახლეობისა და სახანძრო-სამაშველო დანაყოფებისთვის შეტყობინების ორგანიზება;

ე) მუნიციპალური საკუთრების ობიექტების სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება;

ვ) დასახლებული ტერიტორიების განვითარების გეგმებსა და პროგრამებში სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებების ჩართვა, მათ შორის, სახანძრო-სამაშველო დეპოების მშენებლობის პერსპექტიული პროგრამების შედგენაში მონაწილეობა;

ზ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ქალაქთმშენებლობის კონტროლის ღონისძიებების განხორციელება დასახლებული ტერიტორიების დაგეგმარება-განაშენიანებისას ტექნიკური რეგლამენტებით, სამშენებლო ნორმებითა და წესებით დადგენილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესასრულებლად;

თ) დასახლების საზღვრებში ხანძრის ადგილზე სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის შეუფერხებლად მისვლის უზრუნველყოფა;

ი) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხანძრის ჩაქრობასა და საავარიო-სამაშველო სამუშაოებში რეაგირების ძალებისა და საშუალებების ჩაბმის წესის დადგენაში მონაწილეობა;

კ) მოსახლეობისათვის სახანძრო უსაფრთხოების ზომების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისათვის ხელის შეწყობა, მათ შორის, მოსახლეობასთან შეხვედრების ორგანიზება და ჩატარება;

ლ) მოსახლეობისათვის სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლებაში და ხანძრის პროფილაქტიკასა და ჩაქრობაში მის ჩაბმაში მონაწილეობა;

მ) ხანძრის გაჩენის საშიშროების მომატების შემთხვევაში განსაკუთრებული ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმის დადგენა და მისი მოქმედების პერიოდში სახანძრო უსაფრთხოების დამატებითი ზომების მიღება;

ნ) სახელმწიფო ან/და მუნიციპალური სახანძრო დაცვის სახანძრო-სამაშველო დანაყოფის ინციდენტის ადგილზე მისვლამდე ხანძრის ლოკალიზაციისათვის და ადამიანებისა და ქონების გადასარჩენად შესაბამისი ზომების შემღებებისდაგვარად მიღება.

2. მუნიციპალიტეტისთვის ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების დელეგირების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს

საქართველოს მთავრობა, ხოლო აღნიშნული უფლებამოსილების დელეგირების შესახებ ხელშეკრულებას დებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

3. ამ მუხლითა და ამ კანონის 23-ე მუხლით განსაზღვრული დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებისას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე დარგობრივ ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

მუხლი 25. ორგანიზაციების მოვალეობები

1. საგანგებო სიტუაციისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის სფეროში ორგანიზაციები ვალდებული არიან:

ა) თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში დაგეგმონ და განახორციელონ საგანგებო სიტუაციების პრევენციული ღონისძიებები;

ბ) უზრუნველყონ პოტენციური საფრთხეების და საგანგებო სიტუაციების რისკის ანალიზის საფუძველზე საგანგებო მართვის გეგმის მომზადება და სააგენტოსთან შეთანხმების შემდეგ მისი დამტკიცება;

გ) შექმნან საჭირო რეაგირების ძალები და მატერიალური რესურსები და უზრუნველყონ მათი მუდმივი მზადყოფნა;

დ) სპეციალურად უფლებამოსილ ორგანოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით შეატყობინონ საგანგებო სიტუაციასთან დაკავშირებული პოტენციური საფრთხის შესახებ;

ე) უზრუნველყონ მათდამი დაქვემდებარებულ ობიექტებში და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე საგანგებო სიტუაციის დროს საავარიო-სამაშველო სამუშაოებისა და სხვა გადაუდებელი სამუშაოების ორგანიზება ეროვნული გეგმის შესაბამისად;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მონაწილეობა მიიღონ საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებასა და აღდგენით სამუშაოებში;

ზ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში ორგანიზება გაუწიონ ვარჯიშსა და სწავლებებს;

თ) უზრუნველყონ საგანგებო სიტუაციების შესახებ მოსახლეობისთვის შეტყობინების ლოკალური სისტემისა და საშუალებების მუდმივი მზადყოფნა;

ი) უზრუნველყონ ორგანიზაციების სტაბილური ფუნქციონირება და მშვიდობიანობის და საომარი მოქმედებების დროს წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციებისაგან მათი პერსონალის დაცვა;

კ) განახორციელონ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებები.

2. პოტენციურად საშიში ობიექტი დადგენილი ფორმით შეიმუშავებს უსაფრთხოების პასპორტს, უსაფრთხოების დეკლარაციას და წარუდგენს სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ დანაყოფს.

3. ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი უფლებამოსილება და საქმიანობის გამოცდილება, მათი თანხმობით და საველე ოპერაციების ცენტრის

ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით შეიძლება ჩართულ იქნენ საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებასა და აღდგენით სამუშაოებში.

მუხლი 26. საგანგებო სიტუაციისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის სფეროში მოსახლეობის უფლებები და მოვალეობები

1. მოსახლეობას უფლება აქვს:

ა) საგანგებო სიტუაციის დროს დაიცვას საკუთარი სიცოცხლე, ჯანმრთელობა და ქონება;

ბ) საგანგებო სიტუაციის დროს ეროვნული გეგმის შესაბამისად ისარგებლოს კოლექტიური და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებითა და სხვა მატერიალური რესურსებით;

გ) მიიღოს აუცილებელი ინფორმაცია უსაფრთხოების ზომების შესახებ;

დ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში მონაწილეობა მიიღოს საგანგებო სიტუაციის პრევენციაში, ერთიანი სისტემის მზადყოფნაში, საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებასა და აღდგენით სამუშაოებში;

ე) გაერთიანდეს მოხალისეთა სამაშველო ფორმირებებში და შეისწავლოს საგანგებო სიტუაციებში ქცევის წესები.

2. მოსახლეობა ვალდებულია:

ა) შეასრულოს საგანგებო სიტუაციისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები;

ბ) მიიღოს უსაფრთხოების ზომები ყოფა-ცხოვრებასა და სამსახურებრივ საქმიანობაში, აგრეთვე შეასრულოს საწარმოო და ეკოლოგიური უსაფრთხოების მოთხოვნები, რომელთა შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს საგანგებო სიტუაცია;

გ) შეასრულოს სავალდებულო ოპერაციები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

დ) აუცილებლობიდან გამომდინარე, საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში დაეხმაროს რეაგირების ძალებს საავარიო-სამაშველო სამუშაოებისა და სხვა გადაუდებელი სამუშაოების ჩატარებაში.

მუხლი 27. სახანძრო უსაფრთხოების სფეროში მოსახლეობის უფლებები და მოვალეობები

1. მოსახლეობას უფლება აქვს:

ა) ხანძრის დროს დაიცვას საკუთარი სიცოცხლე, ჯანმრთელობა და ქონება;

ბ) მონაწილეობა მიიღოს იმ ხანძრის გამომწვევი მიზეზების დადგენაში, რომელმაც ზიანი მიაყენა მის ჯანმრთელობასა და ქონებას;

გ) მიიღოს ინფორმაცია, მათ შორის, სახანძრო-სამაშველო დანაყოფებიდან, სახანძრო უსაფრთხოების საკითხებზე;

დ) მონაწილეობა მიიღოს სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, მათ შორის, ნებაყოფლობითი სახანძრო ან/და სამაშველო დაცვის საქმიანობაში.

2. მოსახლეობა ვალდებულია:

ა) შეასრულოს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები;

ბ) ხანძრის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს სახანძრო დაცვის დანაყოფებს;

გ) სახანძრო-სამაშველო დანაყოფების ინციდენტის ადგილზე მისვლამდე შეძლებისდაგვარად მიიღოს შესაბამისი ზომები ადამიანებისა და ქონების გადასარჩენად და ხანძრის ჩასაქრობად;

დ) შეასრულოს სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის განმახორციელებელი უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიწერილობა, დადგენილება და სხვა კანონიერი მოთხოვნები.

თავი VI

საგანგებო სიტუაციისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვა

მუხლი 28. საგანგებო სიტუაციის პრევენცია

1. საგანგებო სიტუაციისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვა ხდება კომპლექსური ღონისძიებების, მათ შორის, საგანგებო სიტუაციების პრევენციული ღონისძიებების, განხორციელებით – საგანგებო სიტუაციის პრევენციით.

2. საგანგებო სიტუაციის პრევენცია არის მოსახლეობის, ქონებისა და გარემოს დასაცავად განხორციელებული სამართლებრივი, ორგანიზაციული, ეკონომიკური, საინჟინრო-ტექნიკური, სანიტარიულ-ჰიგიენური, სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური და სხვა ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც მოიცავს:

ა) საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის პროგნოზირების, მონიტორინგისა და თავიდან აცილების ღონისძიებებს;

ბ) სახიფათო ბუნებრივი მოვლენებისა და პროცესების დამაზიანებელი პოტენციალის სისტემატური შემცირებისთვის მიღებულ ზომებს და შესაბამის საინჟინრო-ტექნიკურ ღონისძიებებს;

გ) მასშტაბური სამრეწველო ავარიების პროფილაქტიკის, ტექნოლოგიური (საწარმოო) პროცესების უსაფრთხოებისა და მოწყობილობების ექსპლუატაციის საიმედოობის ამაღლებისთვის მიღებულ ზომებს;

დ) საგანგებო სიტუაციების რისკის რუკების მომზადებას, საქართველოს ტერიტორიისა და ქალაქების ჯგუფებად დაყოფას და ორგანიზაციების კატეგორიებად დაყოფას;

ე) პოტენციურად საშიში ობიექტის უსაფრთხოების პასპორტის, მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების პასპორტის შედგენას;

ვ) სხვა პრევენციულ ღონისძიებებს.

3. საგანგებო სიტუაციის პრევენციას ერთიანი სისტემის სუბიექტები ახორციელებენ ეროვნული გეგმის შესაბამისად, პოტენციურად საშიში ობიექტები და ორგანიზაციები – საგანგებო მართვის გეგმების, „საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემის შესახებ“ და „საგანგებო სიტუაციების პრევენციული ღონისძიებების შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებების შესაბამისად.

მუხლი 29. სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში საქართველოს ტერიტორიისა და ქალაქების ჯგუფებად დაყოფა და ორგანიზაციების კატეგორიებად დაყოფა

1. სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში საქართველოს ტერიტორია და ქალაქები იყოფა ჯგუფებად, ხოლო ორგანიზაციები – კატეგორიებად, მათი თავდაცვითი, ეკონომიკური, ადმინისტრაციული მნიშვნელობიდან გამომდინარე, აგრეთვე ტერიტორიისა და ქალაქების მოსახლეობის რაოდენობის, ორგანიზაციების პოტენციური საშიშროების, სტრატეგიული მნიშვნელობისა და სასიცოცხლო მნიშვნელობის ხარისხის შეფასების მიხედვით. აღნიშნულ ჯგუფებსა და კატეგორიებს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

2. საქართველოს ტერიტორიისა და ქალაქებისათვის ჯგუფებისა და ორგანიზაციებისათვის კატეგორიების მიკუთვნების მიზანია სამოქალაქო უსაფრთხოების ღონისძიებების წინასწარ შემუშავება და იმ მოცულობით განხორციელება, რომელიც შესაძლებელს გახდის მშვიდობიანობის და საომარი მოქმედებების დროს წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციებით გამოწვეული დამაზიანებელი ფაქტორებისაგან, მათ შორის, ქიმიური მოწამვლისაგან, რადიაციული დაბინძურებისაგან და კატასტროფული დატბორვისაგან, მოსახლეობის, საქართველოს ტერიტორიის, ქალაქებისა და ორგანიზაციების დაცვას.

მუხლი 30. საგანგებო სიტუაციისაგან მოსახლეობის დაცვის ძირითადი ღონისძიებები

1. მშვიდობიანობის და საომარი მოქმედებების დროს წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობის დაცვის ძირითადი ღონისძიებებია მოსახლეობის თავშესაფრებში მოთავსება ან/და მისი ევაკუაცია, აგრეთვე სახანძრო, საინჟინრო, ქიმიური, რადიაციული, სამედიცინო და ბიოლოგიური დაცვისათვის გამიზნული სხვა ღონისძიებები.

2. მშვიდობიანობის და საომარი მოქმედებების დროს წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციებისაგან სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისთვის მიკუთვნებული ობიექტების მომსახურე პერსონალი დაცული უნდა იქნეს თავშესაფარში.

3. მეტროპოლიტენის მიწისქვეშა ნაგებობა, გამოქვაბული, ბუნკერი და გვირაბი, აგრეთვე თავშესაფრად ვარგისი შენობა-ნაგებობის მიწისქვეშა სართულები და სათავსები (მათ შორის, ორმაგი დანიშნულების) საგანგებო სიტუაციისაგან მოსახლეობის დასაცავად გამოიყენება.

4. თავშესაფრების მოვლა-პატრონობას და მათ დანიშნულებისამებრ გამოყენებას უზრუნველყოფენ ქონების მფლობელობის, სარგებლობის ან/და განკარგვის უფლება-მოსილების მქონე პირები.

5. თავშესაფრების და თავშესაფრად გამოყენებული შენობა-ნაგებობების მიწისქვეშა სართულების და სათავსების აღრიცხვასა და მონიტორინგს დადგენილი წესით ახორციელებენ სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიული დანაყოფები.

6. თავშესაფრის და თავშესაფრად გამოყენებული შენობა-ნაგებობის მიწისქვეშა სართულების და სათავსების მიზნობრივი დანიშნულება არ შეიძლება შეიცვალოს სააგენტოსთან შეუთანხმებლად.

7. მოსახლეობის ევაკუაციის შესახებ გადაწყვეტილებებს საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მართვის დონეების მიხედვით, წინასწარ შემუშავებული საევაკუაციო გეგმების საფუძველზე იღებენ აღმასრულებელი ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობების ხელმძღვანელები, სახელმწიფო რწმუნებულები – გუბერნატორები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ხელმძღვანელები, მშვიდობიანობის და საომარი მოქმედებების დროს წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციებით გამოწვეული დამაზიანებელი ფაქტორების გათვალისწინებით.

8. მოსახლეობის სახანძრო, საინჟინრო, ქიმიური, რადიაციული, სამედიცინო და ბიოლოგიური დაცვის ღონისძიებები და მათი განხორციელების ორგანიზება განისაზღვრება ეროვნული გეგმით.

მუხლი 31. სავალდებულო ოპერაციების შესრულება

1. საგანგებო სიტუაციის ზონაში საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების დროს ფიზიკური და იურიდიული პირები ასრულებენ სავალდებულო ოპერაციებს საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წესით.

2. სავალდებულო ოპერაციები სრულდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერთიანი სისტემის რეაგირების ძალები და მატერიალური რესურსები არასაკმარისია საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებისათვის.

3. ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებმაც სავალდებულო ოპერაციები შეასრულეს, გაწეული სამუშაოსთვის ანაზღაურებას იღებენ დადგენილი წესით.

მუხლი 32. სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მოსახლეობის ინფორმირება

1. სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მოსახლეობის ინფორმირება ხდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, გამოცემებით, სპეციალური ლიტერატურით, სარეკლამო პროდუქციით, თემატური გამოფენების, ჩვენებებისა და კონფერენციების მოწყობითა და მოსახლეობის ინფორმირების სხვა ფორმებით, რომლებიც შეზღუდული არ არის საქართველოს კანონმდებლობით.

2. სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მოსახლეობის ინფორმირებას უზრუნველყოფენ ერთიანი სისტემის სუბიექტები თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს (მხედველობადაქვეითებულ და სმენადაქვეითებულ პირებს) შესაბამისი ინფორმაცია მიეწოდებათ მათთვის საჭირო ფორმით.

3. სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მოსახლეობისათვის მიწოდებული ინფორმაცია მოიცავს:

ა) პროგნოზირებადი და წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციის შესახებ მონაცემებს და მისი გავრცელების საზღვრებს;

ბ) საგანგებო სიტუაციასთან დაკავშირებული ორგანიზაციის საქმიანობის სფეროს შესახებ მონაცემებს, ავარიის დროს – რისკის ხასიათის, ადამიანსა და გარემოზე ავარიის ზემოქმედების შესაძლებლობის შესახებ მონაცემებს;

გ) საგანგებო სიტუაციის შედეგებს;

დ) საგანგებო სიტუაციებში ქცევის წესებს;

ე) მოსახლეობის დასაცავად განხორციელებულ ღონისძიებებს და მიღებულ ზომებს.

4. მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდების, აგრეთვე საგანგებო სიტუაციების პრევენციული ღონისძიებებისა და მისთვის მზადყოფნის ღონისძიებების უზრუნველსაყოფად სააგენტო ქმნის საგანგებო სიტუაციების საინფორმაციო ბანკს, რომელშიც შეიტანება მონაცემები საგანგებო სიტუაციების შესახებ.

5. მეტეოროლოგიური სამსახურები და სხვა უფლებამოსილი ორგანოები ვალდებული არიან, სააგენტოს დაუყოვნებლივ, უსასყიდლოდ მიაწოდონ ინფორმაცია სახანძრო უსაფრთხოებისათვის არახელსაყრელი მოსალოდნელი მოვლენებისა და პროგნოზების შესახებ.

6. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ვალდებული არიან, სააგენტოს მოთხოვნით, მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გამოაქვეყნონ გადაუდებელი ინფორმაცია სახანძრო უსაფრთხოების შესახებ.

7. სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან, მოსახლეობას მიაწოდონ ინფორმაცია სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ და ხელი შეუწყონ სახანძრო-ტექნიკური ცოდნის გავრცელებას.

მუხლი 33. სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ ინფორმაციის საჯაროობა

1. სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ ინფორმაცია მოიცავს საგანგებო სიტუაციის და შესაბამის ტერიტორიაზე არსებული საინჟინრო, რადიაციული, ქიმიური, ბაქტერიოლოგიური, სახანძრო და ეკოლოგიური ვითარებების, აგრეთვე საგანგებო სიტუაციისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის და მათი უსაფრთხოების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ მონაცემებს.

2. საგანგებო სიტუაციის შესახებ ინფორმაცია საჯაროა, გარდა იმ ინფორმაციისა, რომლის გავრცელებაც შეზღუდულია საქართველოს კანონმდებლობით.

3. სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში აკრძალულია შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ მოსახლეობისათვის ინფორმაციის:

ა) დაფარვა ან/და არასწორი ინფორმაციის მიწოდება;

ბ) დაგვიანებით მიწოდება.

თავი VII

სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა

მუხლი 34. სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემა

1. საქართველოში სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემა არის ხანძრის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მიმართული ძალებისა და საშუალებების, აგრეთვე სამართლებრივი, ორგანიზაციული, ეკონომიკური, სოციალური და სამეცნიერო-ტექნიკური ზომების ერთობლიობა.
2. საქართველოში სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემის სუბიექტები არიან:
 - ა) სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები;
 - ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები;
 - გ) ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მონაწილეობენ სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.
3. საქართველოში სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემის სუბიექტების ძირითადი ფუნქციები განისაზღვრება ამ კანონითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 35. სახანძრო დაცვის სახეობები და ძირითადი ამოცანები

1. საქართველოში სახანძრო დაცვა იყოფა შემდეგ სახეობებად:
 - ა) სახელმწიფო სახანძრო დაცვა;
 - ბ) მუნიციპალური სახანძრო დაცვა;
 - გ) საუწყებო სახანძრო დაცვა;
 - დ) კერძო სახანძრო დაცვა;
 - ე) ნებაყოფლობითი სახანძრო ან/და სამაშველო დაცვა.
2. სახანძრო უსაფრთხოების სფეროში სახანძრო დაცვის ძირითადი ამოცანებია:
 - ა) ხანძრის პროფილაქტიკის ორგანიზება და განხორციელება;
 - ბ) ხანძრის დროს ადამიანებისა და ქონების გადარჩენა, აგრეთვე დაზარალებულთათვის პირველადი დახმარების აღმოჩენა;
 - გ) ხანძრის ჩაქრობის და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ორგანიზება და ჩატარება.
3. მასობრივი უწყსრიგობის თავიდან აცილებისა და აღკვეთის ღონისძიებებში სახანძრო დაცვა მონაწილეობს მისი ჩარევის აუცილებლობის შემთხვევაში, მხოლოდ ხანძრის ჩასაქრობად ან/და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩასატარებლად.

მუხლი 36. სახელმწიფო სახანძრო დაცვა

1. სახელმწიფო სახანძრო დაცვა საქართველოში სახანძრო დაცვის ძირითადი სახეობაა. სახელმწიფო სახანძრო დაცვის ამოცანების გადაწყვეტას უზრუნველყოფს სააგენტო, რომელიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში:

ა) ახორციელებს ხანძრის პროფილაქტიკას, ხანძრის ჩაქრობის და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარების ორგანიზებას;

ბ) უზრუნველყოფს ხანძრის დროს ადამიანებისა და ქონების გადარჩენას, აგრეთვე დაზარალებულთათვის პირველადი დახმარების აღმოჩენას;

გ) უზრუნველყოფს ფიზიკური და იურიდიული პირების ქონების ხანძრისაგან დაცვას;

დ) უზრუნველყოფს სხვადასხვა სახეობის სახანძრო დაცვის სახანძრო-სამაშველო დანაყოფების საქმიანობის კოორდინაციას;

ე) უზრუნველყოფს სახანძრო უსაფრთხოების, აგრეთვე ხანძრის ჩაქრობის და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ორგანიზების, სახანძრო-ტექნიკური პროდუქტის და საავარიო-სამაშველო საშუალებების გამოყენების შესახებ ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავებას და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისათვის დასამტკიცებლად წარდგენას.

2. ფიზიკური და იურიდიული პირების ქონების ხანძრისაგან დაცვის უზრუნველყოფისათვის სახელმწიფო სახანძრო დაცვის სახელშეკრულებო დანაყოფი (შემდგომ – სახელშეკრულებო დანაყოფი) შეიძლება შეიქმნას ობიექტის მესაკუთრის მიმართვის საფუძველზე, სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებში, პოტენციურად საშიშ ობიექტებში, ეროვნული საგანძურის, კულტურული მემკვიდრეობისა და მასობრივი თავშეყრის ობიექტებში. სახელშეკრულებო დანაყოფის მიერ სახანძრო უსაფრთხოების სფეროში სამუშაოების შესრულების და მომსახურების გაწევის წესს ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

მუხლი 37. მუნიციპალური სახანძრო დაცვა

1. ამ კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის იმ დასახლებაში, სადაც განთავსებული არ არის სააგენტოს სახანძრო-სამაშველო დანაყოფები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა შეიძლება შექმნან მუნიციპალური სახანძრო დაცვის სახანძრო-სამაშველო დანაყოფები.

2. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისადმი დაქვემდებარებული მუნიციპალური სახანძრო დაცვის სახანძრო-სამაშველო დანაყოფების შექმნისა და საქმიანობის წესს, მათ მიზნებსა და ამოცანებს, აგრეთვე სხვადასხვა სახეობის სახანძრო დაცვის დანაყოფებთან მათი ურთიერთქმედების წესს განსაზღვრავენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. სააგენტოს შესაბამისი დანაყოფები თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში, დადგენილი წესით ახორციელებენ მუნიციპალური სახანძრო დაცვის სახანძრო-სამაშველო დანაყოფების ინსპექტირებას და მეთოდურ დახმარებას უწევენ მათ.

4. მუნიციპალური სახანძრო დაცვის სახანძრო-სამაშველო დანაყოფები ვალდებული არიან, მონაწილეობა მიიღონ საქართველოს ტერიტორიაზე ხანძრის, ავარიის, კატასტროფის, სტიქიური უბედურებისა და საგანგებო სიტუაციის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებსა და დაგეგმილ სახანძრო-ტაქტიკურ სწავლებებში.

5. მუნიციპალური სახანძრო დაცვის სახანძრო-სამაშველო დანაყოფების ქონების მიზნობრივი დანიშნულება არ შეიძლება შეიცვალოს სააგენტოსთვის წინასწარი შეტყობინების გარეშე.

მუხლი 38. საუწყებო სახანძრო დაცვა

1. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს უფლება აქვთ, სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შექმნან საუწყებო სახანძრო დაცვის დანაყოფები.

2. საუწყებო სახანძრო დაცვის დანაყოფების შექმნის, რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის, მათი საქმიანობის განხორციელებისა და პირადი შემადგენლობების მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პირობები დგინდება შესაბამისი დებულებებით, სააგენტოსთან შეთანხმებით.

მუხლი 39. კერძო სახანძრო დაცვა

1. კერძო სახანძრო დაცვა იქმნება მეწარმე სუბიექტებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ობიექტებში. კერძო სახანძრო დაცვის შექმნა, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. კერძო სახანძრო დაცვის რიცხოვნობასა და ტექნიკურ აღჭურვილობას ადგენს მისი მესაკუთრე. იგი უზრუნველყოფს კერძო სახანძრო დაცვის დანაყოფის მიერ ხანძრის ჩაქრობის საქმიანობის წესისა და პირობების განსაზღვრას სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელი ნორმების, ნორმატიული აქტების, ტექნიკური რეგლამენტების ან/და სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.

3. სააგენტოს შესაბამისი დანაყოფები თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში, დადგენილი წესით ახორციელებენ კერძო სახანძრო დაცვის დანაყოფების ინსპექტირებას და მეთოდურ დახმარებას უწევენ მათ.

4. კერძო სახანძრო დაცვა სამუშაოებს ასრულებს სახანძრო უსაფრთხოების სფეროში და მომსახურებას ეწევა დადებული ხელშეკრულების შესაბამისად.

მუხლი 40. ნებაყოფლობითი სახანძრო ან/და სამაშველო დაცვა

1. ნებაყოფლობითი სახანძრო ან/და სამაშველო დაცვა არის ხანძრის პროფილაქტიკის ან/და ჩაქრობის, აგრეთვე საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარებაში ნებაყოფლობით მონაწილეობის მიზნით ფიზიკური ან/და იურიდიული პირების ინიციატივით შექმნილი დანაყოფი.

2. ნებაყოფლობითი სახანძრო ან/და სამაშველო დაცვა თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი VIII

სახანძრო უსაფრთხოების, ხანძრის ჩაქრობის და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ორგანიზება

მუხლი 41. სახანძრო უსაფრთხოების სფეროში ნორმატიულ-სამართლებრივი რეგულირება

1. სახანძრო უსაფრთხოების სფეროში ნორმატიულ-სამართლებრივი რეგულირება ხორციელდება სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებული/გამოცემული ნორმატიული აქტებით, ხოლო მუნიციპალიტეტებში – აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მიღებული ნორმატიული აქტებით.

2. საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მიღებული ნორმატიული აქტების პროექტები, რომლებიც ადგენს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს, შეთანხმებული უნდა იქნეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, როგორც დარგობრივი ზედამხედველობის განმახორციელებელ ორგანოსთან.

მუხლი 42. სახანძრო უსაფრთხოების ზომების შემუშავება და მიღება

1. სახანძრო უსაფრთხოების ზომები მუშავდება საქართველოს კანონმდებლობისა და სახანძრო უსაფრთხოების სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტების შესაბამისად, აგრეთვე ხანძრის წინააღმდეგ ბრძოლის გამოცდილების, ნივთიერების, მასალის, ტექნოლოგიური პროცესის, ნაკეთობის, კონსტრუქციის, შენობისა და ნაგებობის ხანძარსაშიშროების შეფასების საფუძველზე.

2. ნივთიერების, მასალის, ნაკეთობისა და დანადგარის დამამზადებლები (მომწოდებლები) ვალდებული არიან, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში ტექნიკურ დოკუმენტაციაში მიუთითონ მათი ხანძარსაშიშროების მაჩვენებლები, აგრეთვე მათთან მუშაობისათვის აუცილებელი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები.

3. მეწარმე სუბიექტებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების შენობების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების სახანძრო უსაფრთხოების ზომების შემუშავებისას და მიღებისას, აგრეთვე ამ ობიექტების დაპროექტებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ღონისძიებები ხანძრის დროს ადამიანთა ევაკუაციის უზრუნველსაყოფად.

4. ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტების სახანძრო უსაფრთხოების ზომებს უფლებამოსილების ფარგლებში შეიმუშავებენ საქართველოს მთავრობა, ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები.

5. ხანძრის ჩაქრობის გეგმებს ადამიანთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებების გათვალისწინებით შეიმუშავებენ აფეთქებახანძარსაშიში ობიექტები.

მუხლი 43. ხანძრის ჩაქრობის და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ორგანიზება

1. ხანძრის ჩაქრობის ორგანიზება არის ოპერატიულ-ტაქტიკური და საინჟინრო-ტექნიკური ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც მიმართულია ადამიანისა და ქონების ხანძრის საშიში ფაქტორებისაგან დაცვისაკენ, ხანძრის ლიკვიდაციისა და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარებისაკენ.

2. ხანძრის, ავარიის, კატასტროფის, სტიქიური უბედურებისა და საგანგებო სიტუაციის დროს სახანძრო-სამაშველო დანაყოფების ძალებისა და საშუალებების საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ღონისძიებებში ჩაბმასა და მართვას უზრუნველყოფს სააგენტო ხანძრის, ავარიის, კატასტროფის, სტიქიური უბედურებისა და საგანგებო სიტუაციის დროს სახანძრო-სამაშველო დანაყოფების ძალებისა და საშუალებების საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ღონისძიებებში ჩაბმის წესის შესაბამისად.

3. განსაკუთრებით რთული ხანძრის ჩაქრობაში მონაწილე სხვადასხვა სახეობის სახანძრო დაცვის სახანძრო-სამაშველო დანაყოფების მოქმედებებს კოორდინაციას უწევს სააგენტო.

4. ეროვნულ, ავტონომიურ, სამხარეო და ადგილობრივ დონეებზე ხანძრის ჩაქრობასა და საავარიო-სამაშველო სამუშაოებში სხვადასხვა სახეობის სახანძრო დაცვის სახანძრო-სამაშველო დანაყოფების ძალებისა და საშუალებების ჩაბმის გეგმებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან შეთანხმებით შეიმუშავებს და ამტკიცებს სააგენტოს შესაბამისი დანაყოფი.

5. ხანძრის ჩასაქრობად და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩასატარებლად სახანძრო-სამაშველო დანაყოფები გადიან უპირობო წესით.

6. ხანძრისა და ინციდენტის შესახებ შეტყობინებების მისაღებად საქართველოს სატელეფონო ქსელში დადგენილია ერთიანი სატელეფონო ნომერი – „112“.

7. ხანძრის ჩაქრობისა და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარებისას ხორციელდება აუცილებელი მოქმედებები ადამიანთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და ქონების გადასარჩენად, მათ შორის:

ა) ხანძრის საშიში ფაქტორების გავრცელების (ან შესაძლო გავრცელების), ავარიის, კატასტროფისა და საგანგებო სიტუაციის საშიში გამოვლენის ადგილებზე მისასვლელად;

ბ) ხანძრის, ავარიის, კატასტროფისა და საგანგებო სიტუაციის გავრცელების დამაბრკოლებელი და მათი შედეგების ლიკვიდაციის უზრუნველსაყოფი პირობების შესაქმნელად;

გ) ხანძრის გაჩენის ადგილზე, ავარიის, კატასტროფის, საგანგებო სიტუაციის ზონაში შესვლის და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ტრანსპორტისა და ქვეითთა მოძრაობის შეზღუდვისათვის ან აკრძალვისათვის;

დ) ხანძრის ჩაქრობის ადგილის, ავარიის, კატასტროფის, საგანგებო სიტუაციის ზონის დაცვისათვის (მათი გამომწვევი მიზეზებისა და გარემოებების გამოძიების პერიოდშიც);

ე) ხანძრის, ავარიის, კატასტროფის ადგილებიდან და საგანგებო სიტუაციის ზონებიდან ადამიანებისა და ქონების ევაკუაციისათვის, დაზარალებულთათვის პირველადი დახმარების აღმოჩენისათვის.

8. ხანძრის ჩაქრობას უშუალოდ ხელმძღვანელობს ხანძრის ადგილზე მისული სახანძრო დაცვის დანაყოფების უფროსი თანამდებობის პირი – ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელი (თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი), რომელიც ერთმმართველობის პრინციპით ხელმძღვანელობს ხანძრის ჩაქრობაში მონაწილე სახანძრო დაცვის პირად შემადგენლობას და ხანძრის ჩაქრობაში ჩაბმულ სხვა ძალებს.

9. ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელი ადგენს იმ ტერიტორიის საზღვრებს, სადაც ხორციელდება ხანძრის ჩაქრობის მოქმედებები, ამ მოქმედებების განხორციელების წესსა და თავისებურებებს, აგრეთვე იღებს გადაწყვეტილებებს ადამიანებისა და ქონების გადარჩენის შესახებ.

10. ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია დასახული ამოცანის შესრულებისათვის, ხანძრის ჩაქრობაში მონაწილე სახანძრო დაცვის პირადი შემადგენლობისა და ხანძრის ჩაქრობაში ჩაბმული სხვა ძალების უსაფრთხოებისათვის.

11. ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელის მითითებების შესრულება სავალდებულოა ყველა თანამდებობის პირისა და ფიზიკური პირისათვის იმ ტერიტორიაზე, სადაც ხორციელდება ხანძრის ჩაქრობის მოქმედებები.

12. ხანძრის ჩაქრობის დროს არავის არ აქვს უფლება, ჩაერიოს ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელის მოქმედებებში ან შეცვალოს მისი განკარგულებები.

13. სახანძრო დაცვის პირადი შემადგენლობა, ხანძრის, ავარიის, კატასტროფისა და საგანგებო სიტუაციის შედეგების ლიკვიდაციის სხვა მონაწილეები, რომლებიც უკიდურესი აუცილებლობის ან/და გონივრული რისკის პირობებში მოქმედებდნენ, თავისუფლდებიან მიყენებული ზიანის ანაზღაურებისაგან.

14. ხანძრის ჩაქრობის დროს სახანძრო დაცვის პირადი შემადგენლობა იღებს ზომებს ნივთიერი მტკიცებულებების შესანარჩუნებლად და ქონების დასაცავად.

მუხლი 44. მუნიციპალური სახანძრო დაცვის სახანძრო-სამაშველო დანაყოფების პირადი შემადგენლობა

მუნიციპალური სახანძრო დაცვის სახანძრო-სამაშველო დანაყოფების პირადი შემადგენლობის მიერ სამსახურის გავლის წესს, მის სამტატო რიცხოვნობას, სტრუქტურას და მისი ტანსაცმლის ფორმას ადგენენ შესაბამისი მუნიციპალიტეტის ორგანოები სააგენტოსთან შეთანხმებით. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას აღნიშნული პირადი შემადგენლობა ატარებს დადგენილი ფორმის ტანსაცმელს, რომელიც მას ეძლევა დადგენილი ნორმის ფარგლებში.

მუხლი 45. საქართველოს ტყეებში სახანძრო უსაფრთხოების ზომების მიღება და ხანძრის ჩაქრობა

1. საქართველოს ტყეებში სახანძრო უსაფრთხოების ზომების მიღება და ხანძრის ჩაქრობა ხდება საქართველოს ტყის კოდექსის შესაბამისად.
2. საქართველოს ტყეებში ხანძრით გამოწვეული საგანგებო სიტუაციების შედეგების ლიკვიდაცია ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 46. განსაკუთრებული ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმი

1. განსაკუთრებული ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმი არის სახანძრო უსაფრთხოების დამატებითი მოთხოვნები, რომლებიც შეიძლება დადგინდეს საქართველოს მთავრობის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებით შესაბამის ტერიტორიაზე ხანძრის საშიშროების მომატების შემთხვევაში.
2. განსაკუთრებული ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმის მოქმედების დროს შესაბამის ტერიტორიაზე დგინდება სახანძრო უსაფრთხოების სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტებით განსაზღვრული სახანძრო უსაფრთხოების დამატებითი მოთხოვნები, მათ შორის, მოთხოვნები, რომლებიც ითვალისწინებს დასახლებული პუნქტების ტერიტორიების საზღვრების გარეთ ხანძრის ლოკალიზაციაში მოსახლეობის ჩაბმას, ფიზიკური პირებისათვის ტყეში შესვლის შეზღუდვას, იმ დამატებითი ზომების მიღებას (დასახლებული პუნქტების ტერიტორიების საზღვრებს შორის ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების გაზრდა, ხანძარსაწინააღმდეგო მინერალიზებული ზოლების შექმნა), რომლებიც შეზღუდავს ტყის ხანძრისა და სხვა ხანძრის გავრცელებას დასახლებული პუნქტების ტერიტორიების საზღვრების გარეთ, მომიჯნავე ტერიტორიებზე.

მუხლი 47. შესაბამისობის დადგენა

შესაბამისობის დადგენა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის თანახმად.

თავი IX

სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისა და სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისთვის მიკუთვნებული ობიექტების ზედამხედველობა

მუხლი 48. სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისა და სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისთვის მიკუთვნებული ობიექტების ზედამხედველობა

1. სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისა და სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისთვის მიკუთვნებულ ობიექტებზე, აგრეთვე ფიზიკური პირის მიერ სახანძრო

უსაფრთხოების მოთხოვნების, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების შესრულების შემოწმების და მისი შედეგების მიხედვით ზომების მიღების მიზნით სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობას ახორციელებენ სააგენტო და მისი ტერიტორიული დანაყოფები (შემდგომ – ზედამხედველობის ორგანო).

2. სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის განხორციელების წესი და პირობები განისაზღვრება „საქართველოში სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის განხორციელების შესახებ დებულებით“, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

3. სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისა და სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისთვის მიკუთვნებული ობიექტების სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის ორგანიზებისა და განხორციელების სამართლებრივ, სარეკომენდაციო და მეთოდურ დოკუმენტებს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში შეიმუშავებს სააგენტო და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს.

მუხლი 49. სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისა და სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისთვის მიკუთვნებული ობიექტები

1. სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისთვის მიკუთვნებული ობიექტებია:

ა) სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, მათი კუთვნილი შენობა-ნაგებობები;

ბ) საგანმანათლებლო, საადმინისტრაციო, სპორტული, სამედიცინო და სანახაობრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობები;

გ) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში შეტანილი ობიექტები;

დ) 28 მეტრზე მაღალი, აგრეთვე ორი და მეტი მიწისქვეშა სართულის მქონე საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობები;

ე) მრავალფუნქციური შენობები და კომპლექსები, სავაჭრო ცენტრები, კომპლექსები და ჰიპერმარკეტები, საკლუბო და გასართობ-დასასვენებელი ცენტრები 300 მ²-ზე მეტი ფართობით, 100- და მეტადგილიანი სასტუმროს, ტურისტული ბაზის, სანატორიუმის, დასასვენებელი სახლისა და კემპინგის შენობა-ნაგებობები;

ვ) სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტის სადგურები, აგრეთვე მეტროპოლიტენის, საჰაერო და საზღვაო პორტების (ნავსადგურების) შენობა-ნაგებობები;

ზ) 500 მ³ და მეტი ჯამური მოცულობის ავზების მქონე ნავთობის ბაზა და ტერმინალი, ავტოგასამართი სადგურისა და კომპლექსის (ავტოგასამართი, აირგასამართი და აირსავსები სადგურები) შენობა-ნაგებობები;

თ) 1000 მ² და მეტი ფართობის მქონე ხანძარსაშიში ნივთიერების, მასალის, პროდუქციისა და ნედლეულის სასაწყობო შენობა-ნაგებობები და სათავსები;

ი) მარცვლეულის შესანახი და გადამამუშავებელი საწარმოები (წისქვილკომბინატები), აფეთქებახანძარსაშიში ობიექტები, აგრეთვე ხანძარსაშიში ობიექტები, რომლებსაც აფეთქებახანძარსაშიში სათავსი ან/და უბანი აქვს.

2. სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისთვის მიკუთვნებული ობიექტების ჩამონათვალი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით, რომელშიც მოცემულია განსაკუთრებული ეკონომიკური ობიექტების, მოსახლეობისათვის სიცოცხლისა და ცხოვრების პირობების შესანარჩუნებლად აუცილებელი ობიექტების, სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების, აგრეთვე პოტენციურად საშიში ობიექტების ნუსხა.

3. აკრძალულია ზედამხედველობის განხორციელება იმ ობიექტზე, რომელიც, ამ კანონის თანახმად, არ არის სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისა და სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისთვის მიკუთვნებული ობიექტი.

4. შენობის, ნაგებობის და სათავსის ხანძარსაშიში და აფეთქებახანძარსაშიში კატეგორიები განისაზღვრება საწარმოო და სასაწყობო შენობა-ნაგებობებისა და სათავსებისათვის (მიუხედავად მათი ფუნქციური დანიშნულებისა) სახანძრო უსაფრთხოების სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტების შესაბამისად.

5. სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისთვის მიკუთვნებულ ობიექტზე ვრცელდება სახანძრო უსაფრთხოების სფეროში მეწარმე სუბიექტებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისათვის დადგენილი უფლებები და მოვალეობები.

მუხლი 50. ზედამხედველობის ორგანოს უფლებამოსილება

1. ზედამხედველობის ორგანოს უფლება აქვს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) დასაბუთებული წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისა და სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისთვის მიკუთვნებული ობიექტებისაგან მოითხოვოს და მიიღოს შემოწმების ჩატარებისათვის საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტები;

ბ) ამ კანონით დადგენილი წესით შევიდეს სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისა და სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისთვის მიკუთვნებული ობიექტების ტერიტორიაზე და შენობა-ნაგებობებში, ჩაატაროს მათი შემოწმება და გამოკვლევა, აგრეთვე ჩაატაროს ხანძარსაწინააღმდეგო დაცვისა და შეტყობინების ლოკალური სისტემების გამოცდა და განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ზედამხედველობის სხვა ღონისძიებები;

გ) დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში გასცეს სათანადო მიწერილობა გამოვლენილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებისა და საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევის აღმოფხვრის ან მათი შესრულების თაობაზე;

დ) სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, აგრეთვე სახელმწიფო რწმუნებულს – გუბერნატორს წარუდგინოს წინადადებები და რეკომენდაციები სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებისა

და საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების თაობაზე;

ე) დადგენილი წესით განახორციელოს ხანძრის გამომწვევი მიზეზების შესწავლა და გამოკვლევა;

ვ) მეწარმე სუბიექტებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების წარმომადგენლებისაგან და ფიზიკური პირებისაგან მიიღოს საჭირო ინფორმაცია, განმარტებები, ცნობები, დოკუმენტები და მათი ასლები იმ საქმეებთან და მასალებთან დაკავშირებით, რომლებიც შეეხება ხანძარს, აგრეთვე აუცილებლობის შემთხვევაში ამ მიზნით მოიწვიოს აღნიშნული პირები;

ზ) სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში დადგენილი მოთხოვნების დარღვევის ან შეუსრულებლობის შემთხვევაში შეადგინოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, განიხილოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე და სამართალდამრღვევს შეუფარდოს ადმინისტრაციული სახდელი;

თ) სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესასრულებლად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისთვის მიკუთვნებული ობიექტის მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში (ადმინისტრაციული წარმოების შესაბამის სტადიაზე), როგორც სხვა ადმინისტრაციულმა ორგანომ; განახორციელოს ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის მოწყობილობებისა და სისტემების გამოცდა სათანადო აქტის გაფორმებით;

ი) მიმართოს სასამართლოს სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისთვის მიკუთვნებული ობიექტის შენობა-ნაგებობის, საწარმოო უბნის, აგრეგატის ან/და სათავსის ექსპლუატაციის ან ცალკეული სამუშაოების ჩატარების მთლიანად ან ნაწილობრივ შეჩერების შესახებ, თუ გამოვლინდა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევა ან/და მათი შეუსრულებლობა, რაც ქმნის ხანძრის გაჩენის საშიშროებას ან/და ემუქრება ადამიანთა უსაფრთხოებას.

2. ზედამხედველობის ორგანოს უფლებამოსილი თანამდებობის პირი ვალდებულია შემოწმების მიზნით სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისა და სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისთვის მიკუთვნებულ ობიექტებზე შესვლისას წარადგინოს სამსახურებრივი პირადობის მოწმობა და შემოწმების დანიშვნის თაობაზე ზედამხედველობის ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირის მიერ გაცემული განკარგულება.

3. სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისა და სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისთვის მიკუთვნებული ობიექტები ვალდებული არიან, უზრუნველყონ სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად ზედამხედველობის ორგანოს უფლებამოსილ თანამდებობის პირთა შესვლა სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისა და სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისთვის მიკუთვნებულ ობიექტებზე.

4. სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისა და სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისთვის მიკუთვნებული ობიექტების ზედამხედველობის სფეროში ზედამხედველობის ორგანოს ხელმძღვანელ თანამდებობის პირთა მითითებებისა და განკარგულებების შესრულება სავალდებულოა მათი ხელქვეითებისათვის.

5. შესაბამისი ზედამხედველობის ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირები თანამდებობრივად იმავდროულად არიან სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო

უსაფრთხოების ზედამხედველობის მთავარი სახელმწიფო ინსპექტორები. ზედამხედველობის ორგანოს სხვა თანამდებობის პირთა (სახელმწიფო ინსპექტორების) ჩამონათვალი და სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის სფეროში მათი შესაბამისი უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

მუხლი 51. სახანძრო უსაფრთხოების სფეროში მეწარმე სუბიექტებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისათვის დადგენილი უფლებები და მოვალეობები

1. სახანძრო უსაფრთხოების სფეროში მეწარმე სუბიექტებს და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს უფლება აქვთ:

ა) დადგენილი წესით შექმნან მათ დაფინანსებაზე მყოფი შესაბამისი სახანძრო დაცვის დანაყოფი, აგრეთვე განახორციელონ მისი რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია;

ბ) სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს წარუდგინონ წინადადებები სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის თაობაზე;

გ) ჩაატარონ სამუშაოები მომხდარი ხანძრის გამომწვევი მიზეზებისა და გარემოებების დასადგენად;

დ) სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად განსაზღვრონ სოციალური და ეკონომიკური სტიმულირების ღონისძიებები;

ე) სახანძრო უსაფრთხოების საკითხებზე დადგენილი წესით მიიღონ ინფორმაცია და სათანადო რეკომენდაციები სახანძრო დაცვის დანაყოფებისაგან მათი კომპეტენციის ფარგლებში;

ვ) ხელი შეუწყონ მოხალისე მეხანძრეების საქმიანობას.

2. სახანძრო უსაფრთხოების სფეროში მეწარმე სუბიექტები და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები ვალდებული არიან:

ა) შეასრულონ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები, აგრეთვე ზედამხედველობის ორგანოს უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიწერილობა, დადგენილება და სხვა კანონიერი მოთხოვნები;

ბ) უზრუნველყონ თავიანთი თანამშრომლებისათვის სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლება დადგენილი წესის შესაბამისად;

გ) ზედამხედველობის ორგანოს უფლებამოსილი თანამდებობის პირის მოთხოვნით წარუდგინონ მას ინფორმაცია მათი შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მდგომარეობის, მათ მიერ წარმოებული პროდუქციის ხანძარსაშიშროების, აგრეთვე მათ ტერიტორიებზე მომხდარი ხანძრის და მისი შედეგების შესახებ;

დ) გამართულ მდგომარეობაში ჰქონდეთ ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის საშუალებები და სისტემები, მათ შორის, ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებები, არ დაუშვან მათი არადანიშნულებისამებრ გამოყენება;

ე) ხელი შეუწყონ სახანძრო დაცვის დანაყოფებს ხანძრის ჩაქრობაში;

ვ) მათ ტერიტორიებზე ხანძრის ჩაქრობისას გამოყონ აუცილებელი ძალები და საშუალებები, მათი არსებობის შემთხვევაში;

ზ) შეიმუშაონ და მიიღონ სახანძრო უსაფრთხოების ზომები;

თ) დაუყოვნებლივ აცნობონ სახანძრო დაცვის დანაყოფებს ხანძრის გაჩენის, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის საშუალებებისა და სისტემების გაუმართაობის, გზებსა და გასასვლელებში ცვლილებების შესახებ.

3. მეწარმე სუბიექტები და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში ხელმძღვანელობენ სახანძრო უსაფრთხოების სისტემას მათდამი დაქვემდებარებულ ობიექტებში და პასუხს აგებენ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებისათვის.

მუხლი 52. პასუხისმგებლობა კანონის დარღვევისათვის

1. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებისა და საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება/ეკისრებათ:

ა) ფიზიკური პირის შემთხვევაში – ფიზიკურ პირს;

ბ) მეწარმე სუბიექტისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის შემთხვევაში – მეწარმე სუბიექტისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელებს;

გ) სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის შემთხვევაში – სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფისათვის პასუხისმგებლად დანიშნულ პირს.

2. ამ კანონით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება კანონით.

თავი IX¹

სააგენტოში სამუშაოდ მიღებისა და სამსახურის გავლის წესი

მუხლი 52¹. სააგენტოში სამსახური

1. სააგენტოს მოსამსახურეები ფუნქციების შესაბამისად იყოფიან მეხანძრე-მაშველთა/მაშველთა პირად შემადგენლობად და სამოქალაქო შემადგენლობად.

2. სააგენტოს მეხანძრე-მაშველთა/მაშველთა პირად შემადგენლობაში შედიან მეხანძრე-მაშველები და მაშველები, რომლებიც, შესაბამისად, უშუალოდ ახორციელებენ ხანძრის პროფილაქტიკას და აქრობენ ხანძარს, ატარებენ საავარიო-სამაშველო სამუშაოებს, მართავენ და ორგანიზებას უწევენ ამ ღონისძიებებს/უშუალოდ ატარებენ სამაშველო სამუშაოებს, ახორციელებენ საგანგებო სიტუაციის პრევენციას და მასზე რეაგირებას, მართავენ და ორგანიზებას უწევენ ამ ღონისძიებებს. სააგენტოს მეხანძრე-მაშველსა და მაშველს (გარდა სახელშეკრულებო დანაყოფის მოსამსახურისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირისა) ენიჭებათ სახელმწიფო სპეციალური წოდება.

3. სააგენტოს სამოქალაქო შემადგენლობაში შედიან მოსამსახურეები, რომლებიც ასრულებენ სააგენტოს საქმიანობის საფინანსო, ლოჯისტიკურ, სამართლებრივ, ორგანიზაციულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ ფუნქციებს ან/და სხვა მხარდამჭერ ფუნქციებს, რომლებიც არ ითვალისწინებს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ფუნქციების უშუალო შესრულებას. სააგენტოს სამოქალაქო შემადგენლობაში შემავალ მოსამსახურეს სახელმწიფო სპეციალური წოდება არ ენიჭება.

მუხლი 52². სააგენტოს მოსამსახურის სამსახურში მიღება

1. სააგენტოს მეხანძრე-მაშველად/მაშველად დაინიშნება/მიიღება საქართველოს მოქალაქე/უცხოელი (ამ მუხლის მიზნებისთვის უცხოელი არის „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირი) 18 წლის ასაკიდან, რომელიც ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას, მიღებული აქვს არანაკლებ სრული ზოგადი განათლება, თავისი პიროვნული და საქმიანი თვისებების, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ფიზიკური მომზადების გათვალისწინებით შეუძლია დაკისრებული ფუნქციების შესრულება და აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა მოთხოვნებს.

2. პირი სააგენტოს მეხანძრე-მაშველად/მაშველად სააგენტოს შტატით გათვალისწინებულ თანამდებობაზე დაინიშნება სპეციალური კონკურსის შედეგად. სააგენტოში მეხანძრე-მაშველის და მაშველის სპეციალური კონკურსის ჩატარების წესი განისაზღვრება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით.

3. უცხოელი სააგენტოს მოსამსახურედ შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირად ან სახელშეკრულებო დანაყოფის მოსამსახურედ.

4. სააგენტოს მეხანძრე-მაშველი/მაშველი სამსახურში მიღებისას ან მიღების შემდეგ გადის შესაბამის სპეციალურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, სპეციალური გადამზადების ან/და კვალიფიკაციის ამაღლების კურსს/პროგრამას. სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, სპეციალური გადამზადების ან/და კვალიფიკაციის ამაღლების კურსის/პროგრამის გავლის წესს ამტკიცებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი.

5. სააგენტოს მეხანძრე-მაშველი/მაშველი სამსახურში დაინიშნისას/მიღებისას დებს მეხანძრე-მაშველის/მაშველის ფიცს. მეხანძრე-მაშველის/მაშველის ფიცის ტექსტს ამტკიცებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი.

6. სააგენტოს მეხანძრე-მაშველის/მაშველის მიერ სამსახურის გავლის ის საკითხები, რომლებიც მოწესრიგებული არ არის ამ კანონით, აგრეთვე სააგენტოს სამოქალაქო შემადგენლობაში შემავალი მოსამსახურის სამსახურში მიღების და მის მიერ სამსახურის გავლის წესი განისაზღვრება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის შესაბამისი ბრძანებით.

7. სააგენტოს მეხანძრე-მაშველი/მაშველი ატარებს შესაბამისი წესით დადგენილი ფორმის ტანსაცმელს, რომლის ნიმუშებსაც ამტკიცებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი.

მუხლი 52³. სააგენტოს მეხანძრე-მაშველის/მაშველის სამსახურში მიღებისა და მის მიერ სამსახურის გავლისათვის დადგენილი შეზღუდვები

1. სააგენტოში მეხანძრე-მაშველად/მაშველად არ მიიღება:

ა) განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლევი პირი;

ბ) პირი, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა მიმდინარეობს;

გ) პირი, რომელიც სასამართლომ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარა ან მხარდაჭერის მიმღებად ცნო, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

დ) პირი, რომელსაც სასამართლოს მიერ ჩამორთმეული აქვს შესაბამისი თანამდებობის დაკავების უფლება;

ე) პირი, რომლის ჯანმრთელობის მდგომარეობა, სამედიცინო დასკვნის თანახმად, არ აკმაყოფილებს შესაბამისი თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელ მოთხოვნებს;

ვ) ალკოჰოლიზმით, ნარკომანიით, ტოქსიკომანიით, ფსიქიკური ან/და სხვა სნეულებით დაავადებული პირი. ამ სნეულებათა ჩამონათვალს ერთობლივად ადგენენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი;

ზ) პირი, რომელმაც სპეციალური შემოწმების გავლის შედეგად უარყოფითი შეფასება მიიღო.

2. სააგენტოს მეხანძრე-მაშველის/მაშველის მიერ სხვა ანაზღაურებადი სამუშაოს (გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური ან შემოქმედებითი საქმიანობისა) შესასრულებლად დგინდება შემდეგი შეზღუდვები:

ა) სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე სააგენტოს მეხანძრე-მაშველს/მაშველს უფლება არ აქვს, ასრულებდეს სხვა ანაზღაურებად სამუშაოს ან საჯარო ან კერძო დაწესებულებაში ეკავოს სხვა თანამდებობა;

ბ) სააგენტოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს, აგრეთვე სახელშეკრულებო დანაყოფის მოსამსახურეს უფლება აქვს, სააგენტოს დირექტორის წერილობითი თანხმობით ეკავოს სხვა თანამდებობა ან/და ასრულებდეს სხვა ანაზღაურებად სამუშაოს იმავე დაწესებულებაში ან სხვაგან.

3. სააგენტოს მეხანძრე-მაშველს/მაშველს ეკრძალება გაფიცვა, შეკრებასა და მანიფესტაციაში მონაწილეობა, აგრეთვე პოლიტიკური გაერთიანების წევრობა.

მუხლი 52⁴. სააგენტოს მეხანძრე-მაშველის/მაშველის სამუშაო დრო

1. სააგენტოს მეხანძრე-მაშველისათვის/მაშველისათვის დგინდება არანორმირებული სამუშაო დღე.
2. საომარი ან საგანგებო მდგომარეობის ან სხვა ექსტრემალური ვითარების დროს სააგენტო გადადის მუშაობის განსაკუთრებულ რეჟიმზე.

მუხლი 52⁵. სააგენტოს მეხანძრე-მაშველის/მაშველის შვებულება

1. სააგენტოს მეხანძრე-მაშველის/მაშველის ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობაა 30 კალენდარული დღე.
2. სააგენტოში მუშაობის 5 წელზე მეტი სტაჟის მქონე სააგენტოს მეხანძრე-მაშველის/მაშველის ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობაა 35 კალენდარული დღე, ხოლო 10 წელზე მეტი სტაჟის მქონე სააგენტოს მეხანძრე-მაშველისა/მაშველისა – 40 კალენდარული დღე.
3. სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე, დასაშვებია სააგენტოს მეხანძრე-მაშველის/მაშველის შვებულების შეწყვეტა და სამსახურის გასაგრძელებლად მისი გამოძახება.
4. სააგენტოს მეხანძრე-მაშველს/მაშველს ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო და ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულება ეძლევა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 52⁶. სააგენტოს მეხანძრე-მაშველის/მაშველის თანამდებობიდან დროებით გადაყენება

1. სააგენტოს მეხანძრე-მაშველი/მაშველი სასამართლოს განჩინების, საგამომიებო ორგანოს დასაბუთებული წერილობითი მოთხოვნის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის სათანადო დასკვნის ან სააგენტოს შესაბამისი დანაყოფის ხელმძღვანელის მოთხოვნის საფუძველზე, სააგენტოს დირექტორის ბრძანებით შეიძლება დროებით გადაყენებულ იქნეს თანამდებობიდან მისი ბრალდებულად ცნობის გამო სისხლის სამართლის საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.
2. თანამდებობიდან დროებით გადაყენებული სააგენტოს მეხანძრე-მაშველი/მაშველი გამართლების შემთხვევაში უნდა აღდგეს იმავე თანამდებობაზე, ხოლო თუ ეს შეუძლებელია – მის ტოლფას თანამდებობაზე სააგენტოში.

მუხლი 52⁷. სააგენტოს მეხანძრე-მაშველის/მაშველის სამსახურიდან გათავისუფლების/დათხოვნის წესი

1. სააგენტოს მეხანძრე-მაშველი/მაშველი შეიძლება გათავისუფლებულ/დათხოვნილ იქნეს სამსახურიდან:

- ა) პირადი განცხადების (პატაკის) საფუძველზე;
- ბ) შტატების შემცირებისას ან რეორგანიზაციის დროს, რომელსაც თან სდევს შტატების შემცირება;
- გ) სტრუქტურული/ტერიტორიული დანაყოფის ლიკვიდაციის გამო;
- დ) კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადის გასვლის გამო;
- ე) სამსახურში ყოფნის ზღვრული ასაკის მიღწევის გამო;
- ვ) წელთა ნამსახურობის ვადის გასვლის გამო, მისი მოთხოვნის შემთხვევაში;
- ზ) დისციპლინური გადაცდომის ჩადენის გამო ან მის მიმართ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გამო;
- თ) თანამდებობასთან შეუთავსებელი საქმიანობის შეწყვეტის მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო;
- ი) სხვა დაწესებულებაში გადასვლის გამო;
- კ) ჯანმრთელობის მდგომარეობის ან/და ხანგრძლივი შრომისუუნარობის გამო, სამედიცინო კომისიის დასკვნის შესაბამისად;
- ლ) უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან შეზღუდულქმედუნარიანად აღიარების, მხარდაჭერის მიმღებად ცნობის ან გარდაცვლილად გამოცხადების გამო, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;
- მ) გარდაცვალების გამო;
- ნ) გამოსაცდელი ვადის გასვლისა და არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო;
- ო) სპეციალური შემოწმების ჩატარებისას უარყოფითი შედეგების არსებობის შემთხვევაში;
- პ) საქართველოს კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული სხვა საფუძველით.

2. სააგენტოს მეხანძრე-მაშველის/მაშველის სამსახურიდან გათავისუფლების/დათხოვნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სააგენტოს დირექტორი.

მუხლი 52⁸. სააგენტოს მეხანძრე-მაშველის/მაშველის კადრების განკარგულებაში აყვანა

1. სააგენტოს მეხანძრე-მაშველი/მაშველი (გარდა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირისა და სახელშეკრულებო დანაყოფის მოსამსახურისა) საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ან სააგენტოს დირექტორის ბრძანებით შეიძლება გათავისუფლდეს თანამდებობიდან და აყვანილ იქნეს კადრების განკარგულებაში არაუმეტეს 4 თვის ვადით:

- ა) პირადი განცხადების (პატაკის) საფუძველზე;
 - ბ) შტატების შემცირებისას ან რეორგანიზაციის დროს, რომელსაც თან სდევს შტატების შემცირება;
 - გ) სააგენტოს შესაბამისი სტრუქტურული/ტერიტორიული დანაყოფის ლიკვიდაციის დროს.
2. კადრების განკარგულებაში აყვანილ სააგენტოს მეხანძრე-მაშველს/მაშველს შეიძლება დაეკისროს მოვალეობის დროებით შესრულება.
3. კადრების განკარგულებაში აყვანილი სააგენტოს მეხანძრე-მაშველი/მაშველი კადრების განკარგულებაში აყვანის დღიდან ითვლება სამსახურიდან შესაძლო დათხოვნის შესახებ გაფრთხილებულად.

მუხლი 52⁹. სააგენტოს მეხანძრე-მაშველის/მაშველის წახალისება და წახალისების ფორმები

1. სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელოვანი დავალების შესრულებისათვის სააგენტოს მეხანძრე-მაშველის/მაშველის მიმართ გამოიყენება წახალისების შემდეგი ფორმები:
- ა) მადლობის გამოცხადება;
 - ბ) ფულადი პრემიის მიცემა;
 - გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
 - დ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს/სააგენტოს სიგელით დაჯილდოება;
 - ე) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს/სააგენტოს სამკერდე ნიშნით დაჯილდოება;
 - ვ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს/სააგენტოს მედალიონით დაჯილდოება;
 - ზ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს/სააგენტოს მედლით დაჯილდოება;
 - თ) სააგენტოს მეხანძრე-მაშველთა/მაშველთა საპატიო სიაში შეყვანა;
 - ი) მორიგი სახელმწიფო სპეციალური წოდების ვადამდე მინიჭება;
 - კ) დისციპლინური სახდელის ვადამდე მოხსნა;
 - ლ) სახელმწიფო ჯილდოზე წარდგენა.
2. სააგენტოს მეხანძრე-მაშველის/მაშველის მიმართ ერთდროულად შეიძლება წახალისების რამდენიმე ფორმა იქნეს გამოყენებული.
3. სააგენტოს მეხანძრე-მაშველის/მაშველის წახალისების უფლება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აქვთ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრსა და სააგენტოს დირექტორს.

4. სააგენტოს მოსამსახურეთა წახალისების წესს ამტკიცებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი.

5. სააგენტოს დირექტორის წარდგინებით სააგენტოს მეხანძრე-მაშველთა/მაშველთა საპატიო სიას, აგრეთვე სააგენტოს მეხანძრე-მაშველის/მაშველის სააგენტოს მეხანძრე-მაშველთა/მაშველთა საპატიო სიაში შეყვანის წესს ამტკიცებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი.

მუხლი 52¹⁰. სააგენტოს მეხანძრე-მაშველის/მაშველის დისციპლინური გადაცდომისა და დისციპლინური სახდელის სახეები

1. სააგენტოს მეხანძრე-მაშველის/მაშველის დისციპლინური გადაცდომის სახეებია:

ა) სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა;

ბ) სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულება;

გ) სამსახურებრივი მოვალეობისადმი დაუდევარი დამოკიდებულება;

დ) ზნეობრივი და ეთიკური ნორმების წინააღმდეგ, მოსამსახურის ან დაწესებულების დისკრედიტაციისაკენ მიმართული უღირსი საქციელი, განურჩევლად იმისა, სამსახურშია ჩადენილი თუ სამსახურის გარეთ;

ე) თანამდებობასთან შეუთავსებელი საქმიანობის განხორციელება;

ვ) სააგენტოს მეხანძრე-მაშველისათვის/მაშველისათვის შეუფერებელი ქმედება, რომელიც ლახავს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის ავტორიტეტს;

ზ) მეხანძრე-მაშველის/მაშველის ფიცის გატეხა;

თ) შრომის დისციპლინის წესის დარღვევა;

ი) ფორმის ტანსაცმლის ტარების წესის დარღვევა.

2. სააგენტოს მოსამსახურეთათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების წესს ამტკიცებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი.

3. დისციპლინური გადაცდომისთვის სააგენტოს მეხანძრე-მაშველის/მაშველის მიმართ გამოიყენება შემდეგი დისციპლინური სახდელები:

ა) შენიშვნა;

ბ) საყვედური;

გ) სასტიკი საყვედური;

დ) სააგენტოს მეხანძრე-მაშველთა/მაშველთა საპატიო სიიდან ამოღება;

ე) თანამდებობიდან ჩამოქვეითება;

ვ) სამსახურიდან დათხოვნა.

მუხლი 52¹¹. მეხანძრე-მაშველისა და მაშველის პროფესიული დღე

მეხანძრე-მაშველისა და მაშველის პროფესიული დღე აღინიშნება ყოველი წლის 12 ივნისს.

თავი X

სააგენტოს მოსამსახურეთა და მუნიციპალური სახანძრო დაცვის სახანძრო-სამაშველო დანაყოფების პირადი შემადგენლობის სოციალური დაცვის გარანტიები, მათი დაფინანსება და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

მუხლი 53. სააგენტოს მოსამსახურის სოციალური დაცვის გარანტიები

1. სააგენტოს მოსამსახურის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევა სავალდებულოა. იგი ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით. ამასთანავე, შესაძლებელია სააგენტოს მოსამსახურის მეუღლისა და არასრულწლოვანი შვილების დაზღვევა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით.
2. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანი სააგენტოს მეხანძრე-მაშველს/მაშველს აუნაზღაურდება სრულად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში სააგენტოს მეხანძრე-მაშველს/მაშველს 2 თვის განმავლობაში უნარჩუნდება ბოლო დაკავებული თანამდებობისათვის გათვალისწინებული ხელფასი (ფულადი სარგო).
4. სააგენტოს მეხანძრე-მაშველს/მაშველს, რომელსაც ენიჭება სახელმწიფო სპეციალური წოდება, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შესაძლებელია საცხოვრებლად სარგებლობაში გადაეცეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ან სააგენტოს ბალანსზე რიცხული უძრავი ქონება.
5. სააგენტოს სამოქალაქო შემადგენლობაში შემავალ მოსამსახურეზე ვრცელდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი მოსამსახურისათვის დადგენილი სოციალური დაცვის გარანტიები.
6. სააგენტოს მოსამსახურეს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით სააგენტოსათვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში შეიძლება განესაზღვროს ერთჯერადი ფულადი ან/და მატერიალური დახმარების, სხვა სოციალური დაცვის ღონისძიებები და შეღავათები.
7. საქართველოს მთავრობას უფლება აქვს, დაადგინოს სააგენტოს მეხანძრე-მაშველთა/მაშველთა სოციალური დაცვის სხვა გარანტიებიც, რომლებიც გათვალისწინებული არ არის ამ კანონით.

მუხლი 54. სააგენტოს მეხანძრე-მაშველისათვის/მაშველისათვის უსაფრთხო და აუცილებელი სამუშაო პირობების შექმნა

1. სააგენტოს მეხანძრე-მაშველს/მაშველს უფლება აქვს, ჰქონდეს უსაფრთხო და აუცილებელი სამუშაო პირობები, აგრეთვე მიიღოს სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად საჭირო ორგანიზაციულ-ტექნიკური საშუალებები.

2. სააგენტო ვალდებულია შექმნას შესაბამისი სამუშაო გარემო სააგენტოს მეხანძრე-მაშველის/მაშველის ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირობებითა და საშუალებებით უზრუნველსაყოფად, აგრეთვე უზრუნველყოს მათ მიმართ თანაბარი და სამართლიანი მოპყრობა ადამიანური რესურსების მართვის, ანაზღაურებისა და სამართლებრივი დაცვის საკითხებთან დაკავშირებით.

მუხლი 55. სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე სააგენტოს მეხანძრე-მაშველის/მაშველის ხელფასი

სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე სააგენტოს მეხანძრე-მაშველს/მაშველს ეძლევა ხელფასი (ფულადი სარგო), რომელიც შედგება თანამდებობრივი სარგოსა და წოდებრივი სარგოსგან. მას, ხელფასის გარდა, შეიძლება მიეცეს აგრეთვე ხელფასზე (ფულად სარგოზე) დანამატი.

მუხლი 55¹. სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე სააგენტოს მეხანძრე-მაშველის/მაშველის წელთა ნამსახურობის დანამატი

სააგენტოს მეხანძრე-მაშველს/მაშველს, რომელსაც ენიჭება სახელმწიფო სპეციალური წოდება, ყოველთვიურად ეძლევა სამხედრო ან სახელმწიფო სპეციალური წოდებით ნამსახურები კალენდარული წლების მიხედვით ფულად სარგოზე (თანამდებობრივი და წოდებრივი სარგოები) პროცენტული (წელთა ნამსახურობის) დანამატი შემდეგი ოდენობით:

- ა) 1-დან 2 წლამდე – 5 პროცენტი;
- ბ) 2-დან 5 წლამდე – 10 პროცენტი;
- გ) 5-დან 10 წლამდე – 15 პროცენტი;
- დ) 10 წელი და მეტი – 20 პროცენტი.

მუხლი 55². სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სააგენტოს მეხანძრე-მაშველის/მაშველის ჯანმრთელობის დაზიანება

1. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სააგენტოს მეხანძრე-მაშველის/მაშველის ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში, დაზიანების ხარისხის შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-

სამართლებრივი აქტის საფუძველზე მას ეძლევა ერთჯერადი ფულადი დახმარება შემდეგი ოდენობით:

- ა) ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებისას – 7 000 (შვიდი ათასი) ლარი;
- ბ) ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანებისას – 4 000 (ოთხი ათასი) ლარი;
- გ) ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანებისას – 2 000 (ორი ათასი) ლარი.

2. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სააგენტოს მეხანძრე-მაშველის/მაშველის ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში, თუ ეს დაზიანება შეუძლებელს ხდის მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის ჯეროვნად შესრულებას, სააგენტო უზრუნველყოფს ამ მეხანძრე-მაშველის/მაშველის სააგენტოში, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის, პიროვნული და საქმიანი თვისებების და განათლების შესაბამის თანამდებობაზე დასაქმებას.

3. თუ ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სააგენტო ობიექტური მიზეზების გამო ვერ უზრუნველყოფს სააგენტოს მეხანძრე-მაშველის/მაშველის სააგენტოში დასაქმებას, მას უძუშევრობის პერიოდში, მაგრამ არაუმეტეს 1 წლისა, ყოველთვიურად ეძლევა კომპენსაცია ბოლო დაკავებული თანამდებობისათვის გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს სრული ოდენობით.

4. სააგენტოს მეხანძრე-მაშველის/მაშველის ჯანმრთელობის დაზიანების ხარისხი დგინდება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 55³. დახმარება და კომპენსაცია სააგენტოს მეხანძრე-მაშველის/მაშველის გარდაცვალებისას

1. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, კერძოდ, ხანძრის ჩაქრობისას ან/და სამაშველო/საავარიო-სამაშველო სამუშაოების განხორციელების დროს უშუალოდ ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან/და ქონების გადარჩენისას სააგენტოს მეხანძრე-მაშველის/მაშველის დაღუპვის ან მიღებული დაზიანების შედეგად გარდაცვალების შემთხვევაში მის ოჯახს (მემკვიდრეს) სააგენტოსათვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებებიდან, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ გამოცემული აქტის საფუძველზე ეძლევა ერთჯერადი ფულადი დახმარება 100 000 (ასი ათასი) ლარის ოდენობით და დაკრძალვის (საფლავის მოწყობის) ხარჯების ასანაზღაურებელი თანხა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. სააგენტოს მეხანძრე-მაშველის/მაშველის დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო (სააგენტო) ანაზღაურებს.

2. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას (გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა) სააგენტოს მეხანძრე-მაშველის/მაშველის დაღუპვის შემთხვევაში მის ოჯახს (მემკვიდრეს) სააგენტოსათვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებებიდან, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ გამოცემული აქტის საფუძველზე ეძლევა ერთჯერადი ფულადი დახმარება არაუმეტეს 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარისა და დაკრძალვის (საფლავის მოწყობის) ხარჯების ასანაზღაურებელი თანხა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. სააგენტოს მეხანძრე-მაშველის/მაშველის დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო ანაზღაურებს.

3. სააგენტოსათვის საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, ეკონომიის არსებობის შემთხვევაში, სააგენტოს დაღუპული მეხანძრე-მაშველის/მაშველის ოჯახის წევრს (მემკვიდრეს) ან მის კმაყოფაზე მყოფ პირს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების საფუძველზე შესაძლებელია მიეცეს დამატებითი ფულადი ან/და მატერიალური დახმარება.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სააგენტოს მეხანძრე-მაშველის/მაშველის დაღუპვის ან მიღებული დაზიანების შედეგად გარდაცვალების შემთხვევაში მისი ოჯახის წევრებს ენიშნებათ სახელმწიფო კომპენსაცია „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 55⁴. სააგენტოსა და მუნიციპალური სახანძრო დაცვის სახანძრო-სამაშველო დანაყოფების დაფინანსება და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

1. სააგენტოს დაფინანსება და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისთვის გამოყოფილი ასიგნებებით, სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სამუშაოების შესრულების და მომსახურების გაწევის ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან და გაწეული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლებით და კანონით ნებადართული სხვა სახსრებით.

2. მუნიციპალური სახანძრო დაცვის სახანძრო-სამაშველო დანაყოფების დაფინანსება და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა ხორციელდება შესაბამისი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მუნიციპალიტეტისათვის ამ კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყოფილი ფინანსური რესურსების ფარგლებში.

მუხლი 55⁵. მუნიციპალური სახანძრო დაცვის სახანძრო-სამაშველო დანაყოფების პირადი შემადგენლობის სოციალური დაცვის გარანტიები

1. მუნიციპალური სახანძრო დაცვის სახანძრო-სამაშველო დანაყოფების პირადი შემადგენლობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევა სავალდებულოა. დაზღვევა ხორციელდება მუნიციპალური სახანძრო დაცვის სახანძრო-სამაშველო დანაყოფების შენახვისათვის ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული სახსრებით.

2. მუნიციპალური სახანძრო დაცვის სახანძრო-სამაშველო დანაყოფების პირადი შემადგენლობის დაკავებული თანამდებობის შესაბამისად საპენსიო უზრუნველყოფა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

3. მუნიციპალიტეტის ორგანოებს უფლება აქვთ, დაადგინონ მუნიციპალური სახანძრო დაცვის სახანძრო-სამაშველო დანაყოფების პირადი შემადგენლობის სოციალური დაცვის სხვა გარანტიებიც, რომლებიც გათვალისწინებული არ არის ამ მუხლის პირველი პუნქტით.

თავი XI

გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 56. გარდამავალი დებულებანი

1. 2015 წლის 10 იანვარს ლიკვიდირებულ იქნეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, სახელმწიფო რწმუნებულების – გუბერნატორების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დაქვემდებარებაში არსებული საგანგებო სიტუაციების მართვის, სახანძრო ან/და სამაშველო სამსახურები/დანაყოფები (მიუხედავად მათი სტატუსისა და სახელწოდებისა).

2. ამ კანონის ამოქმედებიდან 10 დღის ვადაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ, სახელმწიფო რწმუნებულებმა – გუბერნატორებმა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უზრუნველყონ მათ დაქვემდებარებაში არსებული საგანგებო სიტუაციების მართვის, სახანძრო ან/და სამაშველო სამსახურების/დანაყოფების (მიუხედავად მათი სტატუსისა და სახელწოდებისა) ლიკვიდაციასთან დაკავშირებით სალიკვიდაციო კომისიების შექმნა საქართველოს მთავრობის წარმომადგენელთა მონაწილეობით და ლიკვიდაციასთან დაკავშირებული შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

3. 2015 წლის 10 იანვრამდე:

ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ უზრუნველყოს სააგენტოს შექმნასთან დაკავშირებული შესაბამისი სამართლებრივი აქტების გამოცემა და აუცილებელი ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელება;

ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ, სახელმწიფო რწმუნებულებმა – გუბერნატორებმა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა მათ დაქვემდებარებაში არსებული საგანგებო სიტუაციების მართვის, სახანძრო ან/და სამაშველო სამსახურების/დანაყოფების (მიუხედავად მათი სტატუსისა და სახელწოდებისა) ლიკვიდაციის შედეგად ან ლიკვიდაციის პროცესში აღრიცხული უძრავი და მოძრავი ქონება (მათ შორის, შენობა-ნაგებობები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სხვა) და სამსახურებრივი დოკუმენტაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გადასცენ სააგენტოს;

გ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ, სახელმწიფო რწმუნებულებმა – გუბერნატორებმა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უზრუნველყონ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული თარიღისთვის მათ დაქვემდებარებაში არსებული საგანგებო სიტუაციების მართვის, სახანძრო ან/და სამაშველო სამსახურების/დანაყოფების (მიუხედავად მათი სტატუსისა და სახელწოდებისა) ლიკვიდაციისათვის აუცილებელი ღონისძიებების განხორციელება.

4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტმა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, სახელმწიფო

რწმუნებულების – გუბერნატორების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დაქვემდებარებაში არსებულმა საგანგებო სიტუაციების მართვის, სახანძრო ან/და სამაშველო სამსახურებმა/დანაყოფებმა (მიუხედავად მათი სტატუსისა და სახელწოდებისა) საქართველოს კანონმდებლობით მათთვის მინიჭებული უფლებები განახორციელონ და დაკისრებული მოვალეობები შეასრულონ 2015 წლის 10 იანვრამდე. 2015 წლის 30 იანვრამდე სალიკვიდაციო კომისიები ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღონისძიების დასრულების შემდეგ უზრუნველყოფენ დარჩენილი ქონების (ასეთის გამოვლენის შემთხვევაში) სააგენტოსთვის გადაცემასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელებას, სალიკვიდაციო აქტის შედგენას და მისი ერთი ეგზემპლარის სააგენტოსთვის წარდგენას, რის შემდეგაც სალიკვიდაციო კომისიების საქმიანობა წყდება.

5. ავტონომიური რესპუბლიკების, საქართველოს ადმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისმა დაწესებულებებმა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა/თანამდებობის პირებმა უზრუნველყონ სათანადო სამართლებრივ აქტებში ცვლილებების შეტანა და ახალი სამართლებრივი აქტების მიღება/გამოცემა ამ კანონთან შესაბამისობის მიზნით.

6. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, სახელმწიფო რწმუნებულების – გუბერნატორების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დაქვემდებარებაში არსებული საგანგებო სიტუაციების მართვის, სახანძრო ან/და სამაშველო სამსახურების/დანაყოფების (მიუხედავად მათი სტატუსისა და სახელწოდებისა) ლიკვიდაციის დასრულების შემდეგ ამ სამსახურების/დანაყოფების უფლებამონაცვლედ ჩაითვალოს სააგენტო, გარდა ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისისა.

7. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, სახელმწიფო რწმუნებულების – გუბერნატორების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დაქვემდებარებაში არსებული საგანგებო სიტუაციების მართვის, სახანძრო ან/და სამაშველო სამსახურების/დანაყოფების (მიუხედავად მათი სტატუსისა და სახელწოდებისა) იმ ფინანსური ვალდებულებების (შრომის ანაზღაურება, სხვა საქონელი და მომსახურება და სხვა) უფლებამონაცვლედ, რომლებიც ამ კანონის ამოქმედებამდე წარმოიშვა, ჩაითვალოს, შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, სახელმწიფო რწმუნებულები – გუბერნატორები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები.

8. სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა ამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში უზრუნველყონ სათანადო ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობა.

9. საქართველოს მთავრობამ 2017 წლის 31 დეკემბრამდე მიიღოს შემდეგი დადგენილებები:

ა) „საქართველოში სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის განხორციელების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“;

ბ) „სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“;

გ) „კერძო სახანძრო დაცვის დანაყოფის მიერ ხანძრის ჩაქრობის საქმიანობის წესისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“;

დ) „საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემის შესახებ“;

ე) „მოსახლეობის ევაკუაციის ორგანიზების წესების, პირობების და თავშესაფრის მოწყობის განმსაზღვრელი მახასიათებლების დამტკიცების შესახებ“;

ვ) „სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მოსახლეობის მომზადებისა და სწავლების ორგანიზების შესახებ“;

ზ) „სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისთვის მიკუთვნებულ ობიექტებზე საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“;

თ) „პოტენციურად საშიში ობიექტის უსაფრთხოების პასპორტის ფორმის დამტკიცების შესახებ“;

ი) „მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების პასპორტის ფორმის დამტკიცების შესახებ“;

კ) „ბუნებრივ და ტექნოგენურ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მიზნით მატერიალური რესურსების შექმნისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“;

ლ) „საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალების წესდების დამტკიცების შესახებ“;

მ) „საგანგებო სიტუაციების კლასიფიკაციის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“;

ნ) „პოტენციურად საშიში ობიექტის უსაფრთხოების დეკლარაციის წარდგენის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“;

ო) „მუნიციპალური სახანძრო დაცვის სახანძრო - სამაშველო დანაყოფების შექმნის , მიზნების , ამოცანების და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“;

პ) „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ“;

ჟ) „საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ“;

რ) „საგანგებო სიტუაციის რისკის მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ“.

10. საქართველოს მთავრობამ 2017 წლის 31 დეკემბრამდე მიიღოს შემდეგი დადგენილებები:

ა) „საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემის სუბიექტების შემოწმების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“;

ბ) „საგანგებო სიტუაციებისა და საომარი მოქმედებების დროს სავალდებულო ოპერაციების შესრულების და მათი კომპენსაციის პროცედურების შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“;

გ) „საგანგებო სიტუაციების პრევენციული ღონისძიებების შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“;

დ) „საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობისა და ნავთობპროდუქტების დაღვრის პრევენციისა და მისი შედეგების ლიკვიდაციის ორგანიზაციული ღონისძიებების შესახებ“;

ე) „სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მასპინძელი ქვეყნის მხარდაჭერის ღონისძიებების შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“;

ვ) „სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში საქართველოს ტერიტორიისა და ქალაქების ჯგუფებად დაყოფის და ორგანიზაციების კატეგორიებად დაყოფის შესახებ“;

ზ) „სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში საგანგებო სიტუაციების შესახებ მოსახლეობისთვის შეტყობინების სისტემების დებულების დამტკიცების თაობაზე“;

თ) „პოტენციურად საშიში ობიექტების განთავსების ტერიტორიაზე საგანგებო სიტუაციების შესახებ შეტყობინების ლოკალური სისტემის მოწყობის თაობაზე“;

ი) „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მიერ სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სამუშაოების შესრულების და მომსახურების გაწევის სახეების და საფასურის განსაზღვრის შესახებ“;

კ) „სახელმწიფო სახანძრო დაცვის სახელშეკრულებო დანაყოფის მიერ სახანძრო უსაფრთხოების სფეროში სამუშაოების შესრულების და მომსახურების გაწევის წესის დამტკიცების შესახებ“;

ლ) „ტყეებში ხანძრით გამოწვეული საგანგებო სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციაში სახანძრო - სამაშველო დანაყოფების და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სხვა ძალებისა და საშუალებების ჩაბმის წესის დამტკიცების შესახებ“;

მ) „განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, პოტენციურად საშიში, ეროვნული საგანძურის და კულტურული მემკვიდრეობის იმ ობიექტების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, სადაც აუცილებელია სახანძრო დაცვის შექმნა“;

ნ) „სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისთვის მიკუთვნებული ობიექტების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ“;

ო) „სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“.

11. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2017 წლის 31 დეკემბრამდე უზრუნველყოს შემდეგი ნორმატიული აქტების გამოცემა :

ა) „პოტენციური საფრთხეების და საგანგებო სიტუაციების რისკების ანალიზის განხორციელების მეთოდოლოგიური რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ“;

ბ) „საგანგებო ვითარების შეფასების ინსტრუქციების შემუშავებისა და დამტკიცების შესახებ“;

გ) „საგანგებო სიტუაციების შესახებ ინფორმაციის შეგროვების , დამუშავებისა და გადაცემის წესების დამტკიცების თაობაზე“;

დ) „სამაშველო სამუშაოების სახეობების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ“;

ე) „სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში შტატგარეშე ფორმირებების შექმნის წესის შესახებ“;

ვ) „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს სახანძრო - სამაშველო დანაყოფების პირადი შემადგენლობის მომზადების პროგრამის დამტკიცების შესახებ“;

ზ) „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს სახანძრო - სამაშველო დანაყოფებში გაზკვამლდაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“;

თ) „წყალზე ადამიანის სიცოცხლის დაცვის და მისი უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ“;

ი) „სამოქალაქო უსაფრთხოების ვარჯიშის ჩატარების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“;

კ) „სახანძრო - სამაშველო დანაყოფებში სამსახურის ორგანიზების წესის დამტკიცების შესახებ“;

ლ) „სახანძრო - სამაშველო დანაყოფების მიერ ხანძრის ჩაქრობის და საავარიო - სამაშველო სამუშაოების ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;

მ) „სახელმწიფო სახანძრო დაცვის სახელშეკრულებო დანაყოფების საქმიანობის ორგანიზების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“;

ნ) „სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისთვის მიკუთვნებული ობიექტების , მეწარმე სუბიექტებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების თანამშრომლებისათვის სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლების ორგანიზების მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“;

ო) „ხანძრის , ავარიის , კატასტროფის , სტიქიური უბედურებისა და საგანგებო სიტუაციის დროს სახანძრო - სამაშველო დანაყოფების ძალებისა და საავარიო - სამაშველო საშუალებების საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ღონისძიებებში ჩაბმის წესის დამტკიცების შესახებ“;

პ) „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს სახანძრო - სამაშველო დანაყოფებში შრომის დაცვის წესების დამტკიცების შესახებ“;

ჟ) „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს სახანძრო - სამაშველო დანაყოფების საქმიანობის შემოწმებისა და შეფასების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“;

რ) „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს სახანძრო - სამაშველო დანაყოფების პირადი შემადგენლობის სახანძრო - სამწყობრო და სპეციალური სამაშველო ტექნიკური მომზადების ნორმატივების დამტკიცების შესახებ“;

ს) „ხანძრის ჩაქრობის გეგმებისა და ბარათების შედგენის მეთოდური რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ“;

ტ) „ხანძრის და მისი შედეგების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“;

უ) „სახანძრო და საავარიო - სამაშველო ტექნიკის ექსპლუატაციის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“;

ფ) „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს

სახანძრო - სამაშველო დანაყოფების მიერ ხანძრის შესწავლის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“;

ქ) „საგანგებო სიტუაციის და მისი შედეგების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“;

ღ) „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში მეხანძრე - მაშველის / მაშველის სპეციალური კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;

ყ) „მეხანძრე - მაშველის / მაშველის ფიცის ტექსტის დამტკიცების შესახებ“;

შ) „მეხანძრე - მაშველთა / მაშველთა საპატიო სიაში შეყვანის წესის დამტკიცების შესახებ“;

ჩ) „სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის , სპეციალური გადამზადების ან / და კვალიფიკაციის ამაღლების კურსის / პროგრამის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“;

ც) „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში სამუშაოდ მიღებისა და სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“;

ძ) „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მოსამსახურეთა წახალისების და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების წესის დამტკიცების შესახებ“.

12. სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისთვის მიკუთვნებულ ობიექტზე ამ კანონით გათვალისწინებული საგანგებო სიტუაციის პრევენციისა და მასზე რეაგირების მოთხოვნების შესრულების ზედამხედველობა განხორციელდეს „სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისთვის მიკუთვნებულ ობიექტებზე საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად.

13. ამ კანონით განსაზღვრული სახანძრო უსაფრთხოების სფეროში შესაბამისობის დადგენა განხორციელდეს 2016 წლის 1 იანვრიდან.

14. ამ კანონის 23-ე და 24-ე მუხლების მოქმედება შეჩერდეს 2015 წლის 10 იანვრამდე.

15. სააგენტოს მოსამსახურეს, რომელიც 2016 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით მუშაობს სააგენტოში და მინიჭებული აქვს პოლიციის სახელმწიფო სპეციალური წოდება, 2016 წლის 1 სექტემბრის შემდეგ სახელმწიფო სპეციალური წოდება უნარჩუნდება და უთანაბრდება სამოქალაქო უსაფრთხოების სახელმწიფო სპეციალურ წოდებას სააგენტოში მუშაობის განმავლობაში, განურჩევლად მისი თანამდებობისა. ამ პუნქტით გათვალისწინებულ სააგენტოს მოსამსახურეზე ვრცელდება სააგენტოს მეხანძრე-მაშველისათვის/მაშველისათვის ამ კანონით დადგენილი სოციალური დაცვის გარანტიები.

16. სააგენტოს მეხანძრე-მაშველს/მაშველს, რომელსაც 2016 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით მინიჭებული არ ჰქონდა სახელმწიფო სპეციალური წოდება, გარდა სააგენტოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირისა და სახელშეკრულებო

დანაყოფის მოსამსახურისა, შესაბამისი სახელმწიფო სპეციალური წოდება მიენიჭება 2016 წლის 1 სექტემბრიდან, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

17. სააგენტოს მოსამსახურეს, რომელიც 2016 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით მუშაობს სააგენტოში და 2016 წლის 1 სექტემბრიდან სამსახურს გააგრძელებს სააგენტოს მეხანძრე-მაშველთა/მაშველთა პირად შემადგენლობაში, სახელმწიფო სპეციალური წოდება მიენიჭება ამ კანონის 522 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სპეციალური კონკურსის გავლის გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 57. დასკვნითი დებულებანი

1. ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) „სახანძრო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს 2005 წლის 11 ნოემბრის კანონი (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №49, 30.11.2005, მუხ. 327);

ბ) „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ“ საქართველოს 2007 წლის 8 ივნისის კანონი (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №22, 19.06.2007, მუხ. 203).

2. „სახანძრო უსაფრთხოების შესახებ“ და „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონების საფუძველზე მიღებული/გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები ან/და მათი ნაწილები, აგრეთვე საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის და სახანძრო უსაფრთხოების სფეროებში მოქმედი ნორმატიული აქტები, რომლებიც ეწინააღმდეგება ამ კანონს, იურიდიულ ძალას კარგავს ამავე კანონის 56-ე მუხლით გათვალისწინებული შესაბამისი ნორმატიული აქტების ამოქმედებისთანავე.

3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

29 მაისი 2014 წ.

N2467-III